# საარბიტრო

სპორტული გაზეთი შაბათი 7 თებერვალი 2004 №26 (2045) ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მერაბ ჟორდანია პარიზში გაფრინდა
# ლერი სულაბერიძე ფედერაციიდან წავიდა
## ორი გუშინდელი ამბის სახვალიო ვარაუდები



გუშინ, გამთენიისას, თბილისის აეროპორტში არავინ დაუკავებიათ. თბილისი — პარიზის რეისი ჩვეულებრივ შესრულდა.

ორი თვის წინ, 12 დეკემბრის გამთენიისას კი ამავე რეისის გაფრენამდე დააკავეს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი მერაბ ჟორდანია.

ჟორდანია პარიზში უპრობლემოდ გაფრინდა. საფრანგეთში მისი ვიზიტი ხანმოკლე იქნება. თბილისში სამ-ოთხ დღეში დაბრუნდება და ალბათ არა ხელცარიელი. მერაბი პარიზში მიშელ პლატინის უნდა შეხვდეს და ნაკრების მომავალ მწვრთნელზე ესაუბროსო — ამბობს საქმეში ჩახედული ხალხი.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა ლერი სულაბერიძემ გუშინ თანამდებობა დატოვა. მიზეზი: ვიცე-პრეზიდენტსა და გენერალურ მდივანს შორის არსებული აზრთა სხვადასხვაობა...



ანრი მიშელი, მისი თურქი აგენტი ბაირამ თუთუმლუ და ლერი სულაბერიძე

— ფედერაციის გენერალურ მდივან ვალერი ჩოლარიასთან ნაკრების მწვრთნელის თაობაზე ვერ შევთანხმდი, ჩვენ განსხვავებული პოზიციები გვქონდა და ამიტომაც გადავწყვიტე ფედერაციიდან წამოსვლა — გვითხრა ლერი სულაბერიძემ.

— უფრო კონკრეტულად? ანრი მიშელის დანიშვნის თაობაზე ვერ შეთანხმდით?

— ალბათ, დამეთანხმებით, მიშელი გაცილებით ძლიერი სპეციალისტია, ვიდრე შუშაკი ან სხვა. როცა მიშელთან დაკავშირებას ვაპირებდით, ფეხბურთის სამყაროში მოტრიალე ბევრი ავტორიტეტული პიროვნების აზრიც გავითვალისწინეთ. ახლაც ვფიქრობ, რომ მიშელი მაღალი დონის სპეციალისტია, მისი სიძლიერე მისმა შედეგებმა ასახა და არა უბრალოდ სახელმა.

— ჟორდანიამ იცის, რომ გადადექით?

— დიახ, ეს გადაწყვეტილება მერაბ ჟორდანიასთან შეთანხმების შემდეგ მივიღე.

— თქვენი გადადგომა ნიშნავს იმას, რომ ანრი მიშელთან მოლაპარაკებები ჩაიშალა?

— არ ვიცი, ეს ამბავი მე უკვე აღარ მეხება.

კობა ინასარიძე

თუ მერაბ ჟორდანია პარიზშია და მიშელ პლატინის ხვდება, ცხადია, ნაკრების უცხოელ მწვრთნელზე ისაუბრებენ, ბუნებრივია, ფრანგზე და, ბუნებრივია, ანრი მიშელზე, თუმც შესაძლოა, სხვაზეც.

მაშინ რას უნდა ნიშნავდეს მიშელის მწვრთნელად დანიშვნის მომხრე ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტ ლერი სულაბერიძის თანამდებობიდან გადადგომა?



ორიოდ დღის წინ ფედერაციის გენერალურმა მდივანმა ვალერი ჩოლარიამ კარტები გახსნა და თავისი დამოკიდებულება მიშელის თაობაზე საჯაროდ გამოთქვა: „საქართველოს ნაკრების თავკაცად არ მსურს ისეთი მწვრთნელი, ვისი აგენტიც იმ ქვეყნიდანაა, რომელიც შესარჩევ ჯგუფში ჩვენი მეტოქეა.“

ეს კი, ფაქტობრივად, მინიშნებაა შუშაკის ნაკრებში დაბრუნებაზე.



კონტრარგუმენტი: თბილისის „დინამოს“ მმართველი დირექტორის დავით პეტრიაშვილის თქმით, კლუბი წინააღმდეგია, შუშაკმა „დინამოში“ და ნაკრებში ერთდროულად იმუშაოს.

კონტრ-კონტრარგუმენტი: „დინამო“ სანახევროდ გაიცალა, შუშაკს ივნისში კონტრაქტი უმთავრდება და უმტკივნეულოდ შეეძლება მხოლოდ ნაკრებში მუშაობა. თანაც, შუშაკი გაცილებით იაფი დაჯდება, ვიდრე მიშელი ან სხვა ფრანგი მწვრთნელი.

# თურქების არეულს ფიფა დაალაგებს

**საქართველოს** ფეხბურთის ფედერაციამ გუშინ ფიფადან ფაქსი მიიღო — მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ჯგუფის კალენდარზე მეტოქეებთან ან 13 თებერვლამდე შეთანხმდით, ანაც 18-ში ციურიხში ჩამობრძანდით და აქ დავილაპარაკოთო. თუმც ფიფაში უკვე ლაპარაკი ნაკლებად იქნება, კალენდარი, ვისთვის მისაღები, ვისთვის მიუღებელი, კენჭისყრით 15 წუთში შედგება და მეტოქეთ გაპროტესტების საშუალება არ ექნებათ.

მოკლედ, ფიფამ მეორე შესარჩევი ჯგუფის გუნდებს კალენდარზე შესათანხმებლად კიდევ ერთკვირიანი ვადა კი მისცა, მაგრამ, როგორც ფედერაციის გენმდივანი ვალერი ჩოლარია ამბობს, უმცირესია შანსი, გუნდებმა ფიფას დასამტკიცებლად თავიანთი შედგენილი ვარიანტი მიაწოდონ. საქართველო თურქების ვარიანტს არ თანხმდება, თურქები კი კომპრომისულს, რომელიც მათ გარდა ექვსივე გუნდმა მოიწონა.

ფიფას წერილში აღნიშნულია ისიც, მსოფლიოს შესარჩევის კალენდარზე თქვენი ჯგუფის გარდა ყველა სხვამ მოილაპარაკაო.

**ქობა ინასარიძე**

# პირველი თერთმეტი განსაკუთრებულია

## შუშაკი და ბრაზილია პოლონურად გააკონტროლეს

**კვიპროსულ** აიანაპაში შეკრებაზე მყოფმა თბილისის „დინამომ“ გუშინ მორიგი საკონტროლო მატჩი გამართა — დინამოელები პოლონურ „ლეგიას“ 1:1 ეთამაშნენ.

„დინამომ“ გოლი 38-ე წუთზე გაიტანა — გიორგი ანჩაბაძემ ლადო ახალაიას უპასა, რომლის დარტყმული პოლონელთა მეკარემ კი მოიგერია, მაგრამ დასწრებაზე „ლეგიას“ მცველებს სანდრო იაშვილმა აჯობა და შუშაკელებიც დაწინაურდნენ, პოლონელებმა კი მეორე ტაიმში გაათანაბრეს.

პირველი ტაიმი „დინამომ“ ასეთი შემადგენლობით ითამაშა: ზოიძე, წერეთელი, შაშიაშვილი, კანდელაკი, კარლოსი, კვირკველია, გოგობერიშვილი, ახალაია, ანჩაბაძე, იაშვილი, მელქაძე. შესვენების შემდეგ ივო შუშაკმა მოედანზე მხოლოდ ახალაია და მამუკა წერეთელი დატოვა, დანარჩენები კი ამათ შეცვალეს: მამალაძე, ექონია, კაშია, ხმალაძე, სახვაძე, ჩიტაია, ხომერო, ჯეფერსონი და ბობოხიძე.

დინამოელთა შორის პირველად ითამაშეს ბრაზილიელებმა ხომერომ და ჯეფერსონმა და გუნდის პრესატაშე ლევან სალუქვაძის თქმით, საკმაოდ ნორმალურადაც. რაც შეეხება გიორგი ნემსაძეს, ის დღეიდან შეუდგება გუნდთან ერთად ვარჯიშს.

ნამატჩევს შუშაკს უთქვამს, ორი შემადგენლობით ვითამაშეთ და განსაკუთრებით პირველი ტაიმის თერთმეტეულს გამოვყოფ, თუმც საერთო ჯამში ყველათი კმაყოფილი დავრჩი, ეგაა, მეორე ტაიმში შესულთ შეთამაშება აკლდათ, თუმც ორი საგოლე მომენტი მაინც ჰქონდათო.

მომდევნო შეხვედრაში „დინამო“ იუგოსლავიურ „სარტიდს“ დაუპირისპირდება 10 თებერვალს.

**დავით თავართქილაძე**



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ათი ველოსიპედიანი დღე

## მაკლიში ხვდება, გოლი რატომ ვერ გამაქვს

*შოტლანდიის ლიგის თასის ნახევარფინალში „რეინჯერსი“ „ჰიბერნიანს“ გადაეყარა და დამარცხდა. მოკლედ, „ჩაფრებს“ ხელი მოეცარათ ჩემპიონთა ლიგაში, შოტლანდიის ჩემპიონატში 11 ქულით ჩამორჩებიან „სელტიკს“ და აგერ, ლიგის თასის ფინალამდეც ვერ მიაღწიეს. ის, რომ „ჰიბერნიანმა“ „სელტიკსაც“ მოუგო მეოთხედფინალში, „რეინჯერსს“ გულის მოსაფხანად ვერ გამოდგება. აი, რას ამბობს „ჰიბერნიანთან მატჩის შესახებ შოთა არველაძე...*

— პირველ ტაიმში გოლი შევაგდეთ, მიკელ არტეტასაც უნდა გაეტანა — პენალტი გააცუდა. კიდევ გვქონდა სამი-ოთხი კარგი მომენტი, მაგრამ ვერ გამოვიყენეთ.

— შენ ურიგოდ არ გითამაშია, მაგრამ სათამაშო პოზიციას ხშირად რატომ იცვლიდი?

— ურიგოდ მართლა არ მითამაშია, მაგრამ როცა წააგებ, ამას გემო აღარ აქვს. ჯერ მარცხენა ნახევარმცველი ვიყავი, მერე მარჯვნივ გადამწიეს, შემდეგ შუაში — ხვდებიან, რომ ასე გოლის გატანა მიჭირს, მაგრამ მაინც ასე მათამაშებენ.

— პენალტების სერიის დასაწყისს ცოტაღა აკლდა, როცა „რეინჯერსს“ ერთხელაც ჰქონდა გატანის შანსი...

— ბურთი ჩვენმა მეკარე შტეფან კლოსმა მომაწოდა, ორ მეტოქეს გავცდი, პასი გავაკეთე, მაგრამ თანაგუნდელმა ვერ შეაგდო — არადა, დამატებითი დროის დამთავრებას ორი წუთიღა აკლდა.

— 11-მეტრიანების სერიაში რეინჯერსელთაგან პირველმა შენ დაარტყი, მაგრამ კარს ააცილე — ეს უფრო დაღლის ბრალი იყო?

— შესაძლოა. მარჯვენა მუხლი მაწუხებდა და შოტლანდიის ჩემპიონატის ბოლო ტურშიც ამიტომ ვერ ვითამაშე. მოკლედ, „ჰიბერნიანთან“ მატჩამდე ათი დღის უვარჯიშებელი ვიყავი, მხოლოდ სტატიკურ ველოსიპედს ვატრიალებდი.

— მორიგი მატჩი „რეინჯერსს“ 8 თებერვალს აქვს „კილმარნოკთან“ ასოციაციის თასზე...

— მუხლი ახლა ჩუმად არის, ტკივილი არ მაწუხებს და ალბათ „კილმარნოკთან“ ვითამაშებ — ამ სეზონში ეს ფაქტობრივად ჩვენი ბოლო ბრძოლაა ტიტულისთვის.

— წინა სეზონში „რეინჯერსმა“ სამივე შოტლანდიური ტიტული მოიგო, ახლა კი მხოლოდ ასოციაციის თასის მოგების შანსი შეგრჩათ — რა არის ამის მიზეზი?

— კონკრეტულ მიზეზს ნამდვილად ვერ გეტყვი. ვნახოთ, იქნებ ასოციაციის თასზე ვიყოჩაღოთ.

**დავით თავართქილაძე**

# რატის დარტყმა და სავიდის ზარი ერთი იყო: ეს ბიჭი იყიდეთ!

*აწ უკვე როსტოველი რატი ალექსიძე თბილისშია. ის აქ ორი დღე დარჩება და მერე თურქეთიდან დაბრუნებულ „როსტოვს“ შეუერთდება. დონისპირა ქალაქში რატი გუნდთან ერთად ივარჯიშებს, შემდეგ კი „როსტოვს“ შეკრებაზე გაჰყვება. გუშინ ალექსიძეს ახალ კლუბსა და კონტრაქტზე ვესაუბრეთ*



[illegible] ფოტო

— რამდენწლიან კონტრაქტს მოაწერე ხელი?

— ფაქტობრივად, სამწლიანია, ოღონდ 1+1+1-ის პრინციპით, ანუ ყოველწლიურად მე და კლუბის ხელმძღვანელობა კონტრაქტს გადავხედავთ, შევიტანთ გარკვეულ კორექტივებს. ეს ვარიანტი ჩემთვის იდეალური იყო.

— გუნდს როდის გაიცნობ?

— ორ დღეში როსტოვში ბრუნდებიან, მეც ამ დროისთვის იქ ჩავალ. სამ დღეში კი, სავარაუდოდ, 9-10 თებერვალს, „როსტოვი“ თავის მეორე შეკრებაზე წავა და ისევ თურქეთში.

— ცნობილი იყო, რომ „როსტოვის“ გარდა შენით მოსკოვის და სხვა ქვეყნის კლუბებიც იყვნენ დაინტერესებული...

— დაინტერესება ერთია და რეალობა მეორე. გითხარი, „როსტოვის“ შემოთავაზებული კონტრაქტი ჩემთვის იდეალურადაა შედგენილი. მეც ყველა მოთხოვნა დამიკმაყოფილეს. ამ ეტაპზე ნამდვილად ეს ვარიანტი ჯობდა. რუსეთის ჩემპიონატში თუ ჩემებურად ავთამაშდი, ამ კონტრაქტით უკეთეს კლუბში უპრობლემოდ წავალ.

— კონკრეტულად რომელი კლუბები იყვნენ დაინტერესებული?

— „ლოკომოტივი“, „ურალანი“, „კრილია სოვეტოვი“, „შინიკი“... ბევრი იყო ასარჩევად. „როსტოვის“ წინადადებამ ყველას აჯობა. პრეზიდენტი ივან სავიდიც ძალიან სერიოზული კაცია, დუმაში ზის და უდიდესი ავტორიტეტით სარგებლობს.

— შენი თამაში ესენგეს თასზე ნახა თუ მანამდე ჰყავდი შეგულებული?

— თვითონ სავიდიმ შეხვედრისას ასეთი რამ მითხრა: ესენგეს თასით დიდად არ დავინტერესებულვარ, მაგრამ ფინალს ვუყურებდი. ამ დროს შენ ქუსლით ჰაერიდან სასწაული პასი მიეცი დარასელიას. ამან დამაინტერესა და მატჩს ბოლომდე შევრჩი. შენ რაღაც ფანტასტიკური გოლი გაიტანე და სანამ ტელევიზიით ამ გოლს განმეორებით აჩვენებდნენ, მე უკვე დავრეკე და ვუთხარი, რამდენიც უნდა დაგვიფასონ, ეს ბიჭი იყიდეთო.

— როგორც ამბობ, სავიდი სერიოზული კაცია, მის გუნდს თუ ექნება ასეთივე მიზნები?

— ამბიციური გუნდი რომ არის, იმიტომაც გადავწყვიტე „როსტოვში“ წასვლა. მითხრა, პირველი, მეორე ან მესამე ადგილი მაინც თუ ვერ დავიკავეთ და თასი ვერ ავიღეთ, შენ დაგაბრალებო... ეს ხუმრობით. ისე, მაგარი ხალხია, მათთან ურთიერთობა სასიამოვნოც იყო.

— სხვა ქართველებისადმიც ხომ არ იჩენს ინტერესს „როსტოვი“?

— სერიოზულად იყვნენ დაინტერესებულნი დარასელიას და ბურდულის შეძენით. ვიტალისთან თამაში მეც სიგიჟემდე მინდოდა და მაგრად ვინერვიულე, ეს ვარიანტი რომ ჩაიშალა. ლადოს რაც შეეხება, მისი შეძენის მცირე შანსებს მაინც ინარჩუნებენ.

**დავით ერაძე**

### ინგლისი

კონფერენსლიგა. XXX ტური

ალდერშოტი 1:1 ბარნეტი

### თურქეთი

სუპერლიგა. XX ტური

ანკარაგიუჯიუ 1:1 ბეშიქთაში

### იტალია

სერია B. XXVI ტური

ტრევიზო 0:2 ვერონა

### საფრანგეთი

I დივიზიონი. XXIII ტური

ბორდო 2:0 ნანტი

### პორტუგალია

სუპერლიგა. XXI ტური

ჟილ ვისენტე 1:0 ბრაგა

### ჰოლანდია

I დივიზიონი. XX ტური

როზენდალი 1:3 ვალვაიკი

II დივიზიონი. XXI ტური

ექსელსიორი 2:1 ემენი

ვეენდამი 2:2 სიტარდი

კამბური 2:1 ჰელმონდი

ოსი 1:0 აპელდორნი

გრააფსხაპი 1:0 სპარტა

ეინდჰოვენი 1:1 დორდრეხტი

დენ ბოსხი 4:2 ჰაარლემი

### გერმანია

II ბუნდესლიგა. XIX ტური

ალენი 0:2 ობერჰაუზენი

კარლსრუე 3:0 ოსნაბრიუკი

ბურგჰაუზენი 0:0 ნიურნბერგი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## მიხეილ აშვეთია:
# რა ხდება ნაკრებში?
### ფეხბურთელები ჟურნალისტებს ინტერვიუს იქით სთხოვენ



*გერმანულ რუიტში შეკრებაზე მყოფი მოსკოვის „ლოკომოტივი“ გუშინწინ შვეიცარიულ „შაფჰაუზენს“ შეხვდა და 1:3 დამარცხდა. რკინიგზელთაგან გოლი 38-ე წუთზე მიხეილ აშვეთიამ გაიტანა, მალხაზ ასათიანი კი ისევ ძირითად შემადგენლობაში იყო და სრულადაც ითამაშა.*

*დღეს „ლოკომოტივი“ მოსკოვში ბრუნდება, სამიოდ დღით დაისვენებს და მერე ისევ შეკრებაა. ასეთი ტემპით ემზადებიან რკინიგზელები სააზალსეზონოდ.*

*გუშინ კი „შაფჰაუზენთან“ თავგამოჩენილ მიხეილ აშვეთიას რუიტში დავუკავშირდით*

— მოსამზადებელ ეტაპზე პირველად დამარცხდით, თან საერთოდაც არცთუ ისე ძლიერ გუნდებთან სპარინგებში მაინცდამაინც წარმატებულად ვერ თამაშობთ...

— ამაზე აქ არავინ ფიქრობს. ამხანაგურ მატჩებში სხვადასხვა სქემებს ვამუშავებთ, თან იმ დღეებშიც ჩვეულებრივ ვვარჯიშობთ და მერე ვთამაშობთ. ამის გათვალისწინებით, შედეგზე ფიქრი გამორიცხულიც კია. მით უმეტეს, „შაფჰაუზენთან“ მცირე ტრავმების გამო ლოსკოვი და ხოხლოვი გვაკლდნენ.

— წლეულს უკვე სამი გოლი გაიტანე. ეტყობა, ფორმაში შედიხარ...

— ჯერ კიდევ ადრეა ამის თქმა. ცოტა დროც მჭირდება. ახლა გრიპის გამო გაცდენილს ვანაზღაურებ და მალე ძველებურად ავთამაშდები.

— რამდენიმე დღის წინ „ლოკომოტივის“ სპორტულ დირექტორს ბორის იგნატიევს ვესაუბრეთ და გვითხრა, აშვეთია ჩვენს გუნდში უკონკურენტოაო...

— ვიცი, იგნატიევმა მეც მითხრა, თბილისიდან დამირეკესო. „ლოკომოტივში“ დიდი კონკურენციაა, ამიტომ ძალიან მიხარია, რომ კლუბის დირექტორი ასე თვლის. ამას ვგრძნობ კიდეც და შეძლებისდაგვარად საქმითაც ვამტკიცებ.

— მალხაზ ასათიანი უკვე შეგვიძლია ძირითადი შემადგენლობის ფეხბურთელად მივიჩნიოთ?

— მგონი კი, ყოველ შემთხვევაში, შეკრებებზე ყველა ამხანაგურ მატჩი ითამაშა და გოლებიც გაიტანა. მწვრთნელებიც კმაყოფილნი არიან.

— რა პოზიციაზე თამაშობს?

— ხან ბოლო მცველად, ხანაც საყრდენ ნახევარმცველად. არ მეგონა, ამ ადგილებზე თუ შეძლებდა თამაშს, მაგრამ დავრწმუნდი, რომ მაგარია. თან შეტევებშიც ხშირად ერთვება და თამაშს ამწვავებს.

— კი მაგრამ, ასათიანის მცველად წარმოდგენა მაინც ძნელია...

— მალხაზს თამაში უნდა და ამაზეც თანხმაა. ძალიან ჭკვიანია და ამის ხარჯზე დაცვაში თამაში საერთოდ არ უჭირს.

— იური სიომინი „მონაკოს“ თამაშებს ხშირად ესწრება. თქვენც ხომ არ გქონიათ ჩემპიონთა ლიგის მეტოქის საქმეში ნახვის შანსი?

— არა, ჩვენ მხოლოდ ტელევიზორში ვუყურებთ „მონაკოს“ თამაშებს. სიომინი კი საფრანგეთის ჩემპიონატის ტურს ნაღდად არ აცდენს.

— მერე რისი თქმა შეგიძლია „მონაკოზე“?

— გადაჭრით ვერაფერს ვიტყვი. არც ძალიან ძლიერია და არც სუსტი. ვნახოთ, ყველაფერი მოსკოვურ მატჩში გამოჩნდება. იმედი მაქვს, ამ ეტაპს გავივლით.

— ბელგიურ „ბრიუგესთან“ გქონდათ ამხანაგური მატჩი დაგეგმილი...

— 10-ში მოსკოვიდან ჩავალთ ბელგიაში და 11-ში ვითამაშებთ. მერე კი ისევ რუიტში გავემგზავრებით შეკრებაზე. მანდ გაირკვა რამე? საქართველოს ნაკრები მიდის კვიპროსზე?

— კი, ნაკრებში შენც ხარ მიწვეული...

— ვიცი, მაგრამ... მწვრთნელი კიდევ არ დაუნიშნავთ?

— ჯერ არა. გეტყობა, კვიპროსზე ჩასვლა გაგიჭირდება...

— ჰო, ისეთი გრაფიკი გვაქვს... ახლა რომ „ლოკომოტივს“ გამოვაკლდე, ბევრს დავკარგავ. მით უმეტეს, მალე „მონაკოსთან“ თამაში გველის. თან ნაკრებშიც გაურკვეველი ვითარებაა...

— რამდენიმე ლეგიონერმა უკვე გამოთქვა მსგავსი აზრი, მაგრამ რუმინეთთან მატჩი ხომ უეფას დღესაა დანიშნული...

— გასაგებია, მაგრამ მწვრთნელი მაინც რომ გვყავდეს, კიდევ შეიძლება რაღაცის დათმობა. ასე ნაკრებში წასვლა კი მოვალეობის მოხდას უფრო ჰგავს. აზრი აქვს? თუ აუცილებელი და გადაუდებელი იქნება, ჩავალ, მაგრამ... რა ვიცი, იმედი მაქვს, მანამდე მწვრთნელი დაინიშნება და ფედერაციასთან შეთანხმებასაც შევძლებ. წინასწარ მეტის თქმა არ შემიძლია.

**კახა შალამბერიძე**

# პოროშინ მივიდა
## პრახაძი, გენაცვალე ქუთაისელებისთვის

*მე-15 ეროვნულის პირველი ეტაპის დასრულებისთანავე ქუთაისის „ტორპედოდან“ აბარგებულმა უკრაინელმა ლეგიონერმა ანდრი პოროშინმა ორი დღის წინ მოსკოვის „ლოკომოტივში“ ამოჰყო თავი. 25 წლის თავდამსხმელი რომან ახალკაცის გზას დაადგა, თუმც, მისგან განსხვავებით, „ლოკომოტივში“ სინჯების გავლა მოუწევს*



ბოლო ორ წელიწადში პოროშინი უკვე მესამე ტორპედოელია, რუსულ მატარებელს რომ შეახტა. ახალკაცამდე ხომ „ლოკომოტივში“ მალხაზ ასათიანი გადავიდა. იმასაც თუ გავითვალისწინებთ, რომ მიხეილ აშვეთიაც ყოფილი ტორპედოელია, იოლად დავასკვნით — იური სიომინის გუნდში ქუთაისელებმა ფესვები გაიდგეს.

პოროშინის „ლოკომოტივში“ დარჩენა-არდარჩენა კი საბოლოოდ თურქმენეთში გადაწყდება. აშხაბადურ „პრეზიდენტის თასზე“ რკინიგზელთა სარეზერვო გუნდს უკრაინელიც წაჰყვება და შესაძლოა, იქ ლამის მშობლიურ „ტორპედოსაც“ შეხვდეს. იური სიომინის გადაწყვეტილებით, აშხაბადში რომან ახალკაციც გაემგზავრება.

**კახა შალამბერიძე**

# ვაშაკიძე მეგობრებმა გაიყვეს



უკრაინის ორი კლუბი, კიევის „არსენალი“ და ლუცკის „ვოლინი“ თურქეთში, ანთალიაში ემზადება. „არსენალში“ სამი ქართველი ფეხბურთელი ისინჯება — ირაკლი ვაშაკიძე, ბორის გონჩაროვი და დავით ჩალაძე. ყველაზე რეალურად ვაშაკიძის ტრანსფერის პერსპექტივა ჩანდა, რადგან კიეველთა მთავარი მწვრთნელი ვიაჩესლავ გროზნი საქებარ სიტყვებს არ იშურებდა ქართველი მცველისადმი. თუმცა გუშინ საკმაოდ მოულოდნელი ამბავი შევიტყვეთ — ვაშაკიძე კიეველებმა ლუცკელებს დაუთმეს და ახლა ის მზადებას სწორედ „ვოლინში“ გადის. საქმეში გასარკვევად ირაკლის თურქეთში შევეხმიანეთ

— როგორც ამიხსნეს, „არსენალი“ და „ვოლინი“ პარტნიორ გუნდებად ითვლებიან. სიმართლე გითხრათ, პირობები და გარანტიები „ვოლინმა“ უკეთესი შემომთავაზა. ერთი ეგაა, რომ ეს გუნდი ამბიციებითაც და ფეხბურთელთა შერჩევითაც ჩამოუვარდება „არსენალს“. „ვოლინი“ უფრო ახალგაზრდა და, ასე ვთქვათ, პერსპექტიული გუნდია.

— სხვა ქართველებიც ხომ არ ისინჯებიან მანდ?

— ჩემთან ერთადაა მალანია. გასინჯვაზე იმას ვიტყვი, რომ თუ დავთანხმდი, ყოველგვარი სინჯების გარეშე გავაფორმებ კონტრაქტს.

— „არსენალის“ ვარიანტი საბოლოოდ გამოირიცხა?

— არა, რადგან, როგორც გითხარი, „არსენალი“ და „ვოლინი“ მეგობარი გუნდები არიან. ისინი ხშირად ცვლიან ფეხბურთელებს. მაგალითად, სილაგაძე ჯერ „ვოლინში“ იყო, მაგრამ ახლა არსენალელია. თურქეთში რამდენიმე ამხანაგურ მატჩს ჩავატარებთ და ყველაფერი საბოლოოდ ამის შემდეგ გაირკვევა.

**დავით ერაძე**

**2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის I შესარჩევი ჯგუფი**

**ჩვენი მეტოქე**

# პახომოვი ყაირათიანი კაცია
## ქულებამდე ფულებს აკეთებს



**ყაზახეთი**

**2006 წლის** მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ჯგუფში ჩვენი მეტოქის, ყაზახეთის ნაკრების მთავარი მწვრთნელი ლეონიდ პახომოვი ალმა ათის „ყაირათის“ წინადადებას დათანხმდა და გუნდი ჩაიბარა. ეს ცნობა გუშინ უეფას ოფიციალურ ვებ-გვერდზე გამოქვეყნდა.

პახომოვი დარწმუნებულია, რომ კლუბშიც და ნაკრებშიც ერთდროულ მუშაობას თავს გაართმევს და საერთო საქმეს არ აზარალებს.

— „ყაირათის“ შემოთავაზებაზე დიდხანს ვიფიქრე. ბევრი შემთხვევა ვიცი, როცა ასეთი შეთავსება კრახით დამთავრებულა, მაგრამ გამონაკლისებიც ხომ ხდება — გაიხსენეთ ვალერი ლობანოვსკი, ან თუნდაც ალექსანდრ სტარკოვსი, რომელმაც ლატვიის ნაკრებს ამხელა წარმატება მოუტანა და რიგის „სკონტოშიც“ ყველაფერი მოიგო“ — ასე გააჩუმა კრიტიკოსები პახომოვმა.

„ყაირათის“ ხელმძღვანელობის სურვილიც გასაგებია. ამ კლუბმა ახლახან ყაზახეთის ნაკრების ცხრა ფეხბურთელთან გააფორმა კონტრაქტი და მათ პახომოვზე უკეთესი, აბა, ვინ დამოძღვრავდა. ასე რომ, იცნობდეთ, ეს ბიჭები ალბათ თბილისშიც ჩამოვლენ: ვიტალი არტემოვი (შახტარი), ანდრეი კარპოვიჩი (როსტოვი), სამატ სმაკოვი (როსტოვი), ოლეგ მუსინი (სოკოლი), ევგენი ტარასოვი (სოკოლი), სერგეი ბოიჩენკო (ელიმაი), ანდრეი ბოგომოლოვი (ელიმაი), რენატ აბდულინი (ვოსტოკი) და ევგენი ლოვჩევი (ჟენისი).

შეგახსენებთ, რომ ყაზახეთის ნაკრები 18-22 თებერვალს კვიპროსის საერთაშორისო ტურნირზე ითამაშებს და შესაძლოა, ქართველებმა და ყაზახებმა ერთმანეთი იქ გაიცნონ.

**კახა შალამბერიძე**

# დასვამენ სამოვართან საჯაიას?

**ორი წლის წინ** ედიკ საჯაია საქართველოს ნაკრებისა და მოსკოვის „ტორპედოს“ შეუცვლელი წევრი იყო. 23 წლის ქართველი მცველი ბედს არ უჩიოდა, ეროვნულ გუნდშიც სისტემატურად თამაშობდა და რუსეთის არცთუ სუსტ კლუბშიც იოლად მოეწყო.

მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა და საჯაიაც დაღმართზე დაეშვა. მოსკოვის „ტორპედომ“ ჩვენებურის სამსახურზე უარი თქვა და ტრანსფერზე დააყენა. რა გუნდებზე არ იყო მაშინ ლაპარაკი, „დანდიო“, „ჰიბერნიანიო“, „პორტსმუთიო“... საჯაიას თითქოს მსურველი კლუბები არ აკლდა, თუმც ტრანსფერი არა და არ შედგა. ასეთ გაურკვევლობაში დროც გავიდა და წინა სეზონი საჯაიას საერთოდ გაუცდა, ახალგაზრდულ ნაკრებში ნათამაშებ რამდენიმე წუთს თუ არ ჩავთვლით.

ახლა საჯაია რუსეთის პირველი დივიზიონის „არსენალში“ ვარჯიშობს. გუშინწინ თოფებითა და სამოვრებით ცნობილი ტულელები შეკრებაზე თურქეთში წავიდნენ და გუნდს ჩვენებურიც გაჰყვა. დარჩება თუ არა ედიკი „არსენალში“, ჯერაც არაა გადაწყვეტილი. ჩვენ კი შეგახსენებთ, რომ საჯაია დღემდე მოსკოვის „ტორპედოს“ საკუთრებაა.

**კახა შალამბერიძე**

*რა ხდება თბილისის „ლოკომოტივში“, ვინ და როგორ მიხედავს გუნდს? რკინიგზელთა მწვრთნელ ლუის ცაკარიასს „ლოკომოტივის“ სტადიონზე ვესტუმრეთ და არა მხოლოდ აქაურ ამბებზე გავესაუბრეთ*

# ბრძოლა! ახალი რკინიგზის ახალი ხელწერა



## რაღა დროს არგენტინული ცუღლუტობაა?

— რა ეტაპზეა „ლოკომოტივის“ საშუასეზონო მზადების პროგრამა?

— ვმუშაობთ, ყველა კითხვაზე პასუხს კი ჩემპიონატის მატჩები გაგვცემს. განწყობა ოპტიმისტურია, რადგან „ლოკომოტივის“ ახალმა ხელმძღვანელობამ სრული მხარდაჭერა აღგვითქვა. რაც შეეხება გუნდს, ფეხბურთელები ოპტიმალურ ფორმაში ჯერ არ არიან, თუმც დღესდღეობით უკეთ მოძრაობენ, ვიდრე რამდენიმე კვირის წინ.

— „ლოკომოტივში“ რამდენიმე ახალი ფეხბურთელია — დავით სირაძის შეცვლას დავით დათვაძით აპირებთ?

— „ლოკომოტივში“ ახლა მართლაც რამდენიმე ახალი მოთამაშეა, მაგრამ გუნდში მათი დარჩენა-არდარჩენა ჯერ გადაწყვეტილი არაა. დათვაძეს კარგად ვიცნობ, დანარჩენებს კი ნაკლებად. მოკლედ, გუნდის დაკომპლექტება პრობლემა არ იქნება. იმასაც გეტყვით, რომ „ლოკომოტივს“ დაუბრუნდნენ სიჭინავა და სალუქვაძე.

— რკინიგზის ახალ ხელმძღვანელობასთან თუ ისაუბრეთ გუნდის პირობებზე?

— ჩვენ იმ მჭიდრო ურთიერთობასა და მხარდაჭერაზე ვისაუბრეთ, რაც გუნდს სჭირდება. ხელმძღვანელობა ჩვენგან ჟინიან ბრძოლას მოითხოვს და არა კონკრეტულად ამა თუ იმ ადგილზე გასვლას.

— და მაინც, როგორი გუნდი იქნება „ლოკომოტივი“ ჩემპიონატის მეორე ეტაპზე?

— მთავარია, მოთამაშეებმა საკუთარი ძალა ირწმუნონ — ჩვენ ხომ მეორე ეტაპზე, ფაქტობრივად, ახალი გუნდით წარვდგებით, თუმც გამოცდილი ფეხბურთელებიც გვყავს, ვისიც ძალიან მეიმედება. ბრძოლა! ასეთი იქნება „ლოკომოტივის“ ხელწერა მეორე ეტაპზე და ვნახოთ, იქნებ სამეულშიც შევაღწიოთ.

— პერუს ამბებზე გადავერთოთ — 1982 წლის მერე პერუს მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე აღარ უთამაშია...

— ჩემნაირი ხალხი იქ აღარ იყო და იმიტომ. ეს, რა თქმა უნდა, ხუმრობით. ისე, ესპანეთის მუნდიალის შემდეგ ჩვენი ნაკრები ორჯერ ძალიან ახლოს იყო ამასთან, მაგრამ მაინც არაფერი გამოვიდა.

— პერუს ნაკრების სამწვრთნელო შტაბში 1978 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზეც იყავით. მაშინ პერუს ნაკრებმა ბრაზილიასთან 0:3 წააგო, ხოლო არგენტინასთან 0:6 და ერთი ამბავი ატყდა, ითქვა, პერუმ ეს შეგნებულად გააკეთა, რათა არგენტინისთვის შეეწყო ხელი, ბრაზილიისთვის კი პირიქითო...

— ამ ამბის შემდეგ საკმაოდ დიდი დრო გავიდა და ახლა რაღა ვთქვა? მაშინ ამაზე მართლაც ძალიან ბევრს ლაპარაკობდნენ.

— მაინც რა მოხდა მაშინ? ამ თემაზე საუბარს ტაბუ აქვს დადებული?

— არა, უბრალოდ, ამ ამბებზე რამდენიმე, განსხვავებული აზრი არსებობს, მაგრამ დღეს ეს უკვე ნაკლებად აქტუალურია.

— როდის გყავდათ პერუელებს საუკეთესო ნაკრები?

— 1970 წელს ჩვენი ნაკრები მართლაც გამორჩეული იყო, მაგრამ მერე ჩვენს ფეხბურთის ფედერაციას მაქინაციები ამოუქქეს — არასწორმა მუშაობამ პერუს ფეხბურთი ცუდ გზაზე დააყენა.

— 70-იანი წლები საუკეთესო პერუელ ფეხბურთელად ვის მიიჩნევთ?

— თეოფილო კუბილასს, თუნდაც იმიტომ, რომ ბევრი გოლი გაჰქონდა და ბურთს ძალიან კარგად ფლობდა.

— დღესდღეობით კი საუკეთესო პერუელად კლაუდიო პიზაროს მიიჩნევთ?

— პიზარო „ბაიერნში“ კარგად კი თამაშობს, მაგრამ პერუს ნაკრებში გოლები ვერ გააქვს. ჩვენი ნაკრების ლიდერი ნოლბერტო სოლანოა, ვინც „ასტონ ვილაშიც“ კარგად თამაშობს და ნაკრებსაც ჩინებულად ერგება. მაგარი ფეხბურთელია ბრიუგელი ანდრეს მენდოსაც.

**დავით თავართქილაძე**

*დღეს საღამოს ქუთაისის „ტორპედო“ ბარგს შეკრავს და აშხაბადის გზას დაადგება. ქუთათურები თურქმენეთში „პრეზიდენტის თასზე“ სათამაშოდ არიან მიწვეულნი. ამ ტურნირში „ტორპედო“ შარშანაც მონაწილეობდა.*

*ოთარ გაბელიას გუნდი ბაქომდე ავტობუსით იმგზავრებს, იქიდან კი აშხაბადში თვითმფრინავით გაფრინდება. მწვრთნელებს ეს ტურნირი საგაზაფხულო ეტაპისთვის სამზადისის უმთავრეს ნაწილად შეუგულებიათ. სწორედ ამის გამო ჩაშალეს რიონისპირელებმა ანთალიაში მანამდე დაგეგმილი ორკვირიანი შეკრება.*

# გაქრა განუქრელთა

## ტორპედო და კვეტენაძე აზიისკენ ცალ-ცალკე წავლენ

აშხაბადს საქართველოს სამგზის ჩემპიონი დანაკლისით ესტუმრება — გუნდიდან ვეტერანი კახა კვეტენაძე და თავდამსხმელი ზვიად ქუთათელაძე წავიდნენ.

33 წლის კვეტენაძეს „ტორპედოში“ 9 სეზონი უთამაშია და გუნდში ყველაზე გამოცდილ ფეხბურთელად მიიჩნეოდა. ქუთაისური კლუბის გარდა მას წყალტუბოს „სამგურალისა“ და ფოთის „კოლხეთის“ მაისურაც მოურგია. ახლა კი უცხოეთში წასვლას ეშურება და ალბათ დღე-დღეზე ყაზახეთის რომელიმე კლუბთან დაიჭერს საქმეს.

გაცილებით მოულოდნელია „ტორპედოდან“ 24 წლის ქუთათელაძის გაშვება. რიონისპირელთა ერთ-ერთი საუკეთესო ბომბარდირი საგაზაფხულო ეტაპზე სავარაუდოდ ფოთის „კოლხეთში“ ითამაშებს.

ამგვარად, „ძველი გვარდიიდან“ „ტორპედო“ წლეულს უკვე რვა ფეხბურთელმა დატოვა. კვეტენაძე-ქუთათელაძის წყვილამდე ქუთაისიდან ვახტანგ ხვადაგიანი, რომან ახალკაცი, ანდრი პორომშინი, გიორგი ყიფიანი, ზურაბ მუშკუდიანი და გიორგი სომხიშვილი აიბარგნენ.

გუნდში კი კიდევ ერთი ახალწვეული გამოჩნდა — ყოფილი ტორპედოელი, ბოლოხანს უკრაინაში გადახვეწილი თავდამსხმელი შალვა მუმლაძე. თუმც მისი და ოზურგეთის „მერცხალიდან“ გადაბირებული მალხაზ ჭინჭარაულის აშხაბადში წასვლა გამოირიცხა: ორივეს პასპორტთან დაკავშირებული პრობლემები შეექმნა.

ოთარ გაბელიას კი თურქმენეთში ეს ფეხბურთელები მიჰყავს:

***მეკარეები*** *— ზვიად სტურუა, გიორგი გაბელია, ნუკრი რევიშვილი;*

***მცველები*** *— ლაშა ჭელიძე, სევასტი თოდუა, მიხეილ მახვილაძე, გიორგი მემარნიშვილი, ლაშა ადუაშვილი;*

***ნახევარმცველები*** *— დავით გამეზარდაშვილი, ალექსანდრე კოშკაძე, დავით ბოლქვაძე, გიორგი ნერგაძე, ალექსანდრე ლაღიძე, შოთა ბაბუნაშვილი, ნიკა ნადირაძე, გაგა ჩხეტიანი;*

***თავდამსხმელები*** *— სულიკო დავითაშვილი, გიორგი დარსაძე, აკაკი ქობალია.*

**კახა შალამბერიძე**

## მოკვეთილი


ეროვნული ბიბლიოთეკა

**კახა კვეტენაძე: კიდევ ერთი ამაგიან-ასაკიანი კაცი მოჰკლდა „ტორპედოს“**



# საქმემან შენმან მოგარჩინოს დინამოდან წასვლამ სევდა იცის

*19 წლის რამაზ სვანაძემ უპრობლემოდ დაიკავა ადგილი „დინამოს“ ძირითადში. მარჯვენა მცველს შეტევებში ჩართვაც ემარჯვებოდა და ხშირად გოლიც გაჰქონდა. მის დინამოურ მომავალს თითქოს არაფერი უნდა დამუქრებოდა, მაგრამ...*

მას შემდეგ სვანაძემ „სიონში“ და „კოლხეთში“ თამაშიც მოასწრო, ამჯერად „ლოკომოტივშია“ და გუნდთან ერთად განაგრძობს საახალსეზონო მზადებას.

— „ლოკომოტივში“ თემურ ჩხაიძის მიწვევით მივედი. მათ გუნდის გაძლიერება სურდათ და ჩემთან ერთად კიდევ რამდენიმე ფეხბურთელი მიიწვიეს.

— ისინჯები თუ კონტრაქტზეა ლაპარაკი?

— საქართველოში სინჯები, როგორც წესი, არ არსებობს. აქ ყველა ყველას იცნობს და იცის, ვინ რისი მაქნისია.

— ცოტა სარისკო ხომ არ იყო ჯერ კიდევ წელგაუმართავ გუნდში მისვლა?

— მართალია, „ლოკომოტივი“ ჯერ ხეირიანად არცაა ჩამოყალიბებული, მაგრამ ახლავე ეტყობა, რომ ამბიცია საკმაო ექნება. კლუბში არაერთი გამოცდილი მოთამაშეა, რომლებსაც გუნდზე სასიკეთო ზეგავლენის მოხდენა შეუძლიათ, ამბიციურ კლუბში თამაში კი ყოველთვის წაადგება ფეხბურთელს ზრდაში.

— „ლოკომოტივამდე“ ორ სხვა კლუბშიც მოსინჯე ძალა...

— „სიონში“ საკმაოდ ნორმალური სეზონი მქონდა, მაგრამ მერე „კოლხეთში“ გადავედი. იმ დროს გუნდს ფილია ავარჯიშებდა. მისგან სრული ნდობა ვიგრძენი და ავთამაშდი. ვხვდებოდი, რომ დაკარგულის აღდგენა შესაძლებელია. ახლაც „ლოკომოტივი“ უეფას საგზურისთვის იბრძვის და ამიტომაც მაინტერესებს აქ ყოფნა.

— უცხოეთში არ გიცდია ძალების მოსინჯვა?

— იყო რაღაც ვარიანტები, კონკრეტულად „ბორისფენისგან“. ეს გუნდი უკრაინის უმაღლეს ლიგაში დასარჩენად იბრძოდა. საქმე საქმეზე რომ მიდგა, ისეთი პირობები შემომთავაზეს, „კოლხეთიდან“ წამოსვლაც საცოდაობა იქნებოდა.

— ყველაზე ავადმოსაგონარი დრო ალბათ „დინამოსთან“ განშორებისას გედგა...

— საოცრად დათრგუნული ვიყავი, ფსიქოლოგიურად ისე მოვიშალე, ფეხბურთისთვის თავის დანებებასაც ვფიქრობდი. საქართველოში „დინამოდან“ სხვა გუნდში რომ მიდიხარ, ამჩნევ, ძველებურად ველარც ინდომებ და სტიმულიც გეკარგება. შემიძლია ვთქვა, რომ ეს ორი წელი ფაქტობრივად დავკარგე.

— როგორ გგონია, დასძლიე ეს უსიამოვნო პერიოდი?

— დიახ, და ამაში ძალიან დამეხმარა ბიძაჩემი, ზაურ სვანაძე. სულ ჩამჩიჩინებდა, ხელჩაქნეული ადამიანი ფეხბურთს ვერასოდეს ითამაშებსო. ახლა ვგრძნობ, საკუთარ თავში ძალების პოვნა შევძელი. მსურს, ყველას, პირველ რიგში კი საკუთარ თავს დავუმტკიცო, რომ ჩემს კარიერაში არც „დინამო“ და არც ახალგაზრდული ნაკრები შემთხვევითი არ ყოფილა.

— „ლოკომოტივში“ ისევ მარჯვენა ფლანგზე ითამაშებ?

— ვნახოთ, ჯერ ცაკარიასიც არ მიცნობს ხეირიანად. მე თუ მკითხავთ, ნახევარდაცვაში თამაში და შეტევებში ჩართვა მიჯობს. საერთო ჩარჩოში ჩაჯდომა არ მიყვარს. გამიცნობს მწვრთნელი და თავად გადაწყვეტს, სად უკეთ გამოვადგები გუნდს.

**დავით ერაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჰიბზმა სელტიკს რეინჯერსიც დააყოლა

## შოტლანდია

ლიგის თასი. 1/2 ფინალი

**ჰიბერნიანი 1:1დ.დ.(პენ.4:3, 1:1) რეინჯერსი**

0:1 მოლსი (40), 1:1 დობი (79)

რეინჯერსი: შ. კლოსი, მორის როსი (ვანოლი 88), ფ. დე ბური, კ. მური, ბოლი, არტეტა (ხიზანიშვილი 73), რიკსენი, ნერლინგერი, რ. დე ბური (ოსტენსტადი 73), არველაძე, მოლსი

მწვრთნელი: ალექს მაკლიში

გაფრთხილება: როსი, ოსტენსტადი, ვანოლი

მსაჯი: კლარკი

27 954 მაყურებელი

*ფინალში 14 მარტს გლაზგოს „ჰემპდენ პარკზე" „ლივინგსტონი" და „ჰიბერნიანი" შეხვდებიან*

„ჰემპდენ პარკზე" შოტლანდიის ლიგის თასის ფინალს მისი მფლობელი „გლაზგო რეინჯერსი" გამოაკლდა. იგი „ჰიბერნიანმა" პენალტებით დაამარცხა. ერთი სიტყვით, სქოთური ჯილდოების მხოლოდ „რეინჯერსსა" და „სელტიკს" შორის გადანაწილება დასრულდა — ფრანკ დე ბურმა, რომელიც ჰოლანდიის ნაკრებიდანაც პენალტთა ამცილებლადაა ცნობილი, თერთმეტმეტრიანის ნიშნულიდან ბურთი ძელს გაარტყა და ეს ბოლო წერტილი გამოდგა.

საკუთრივ მატჩი 1:1 დასრულდა. ანგარიში მე-40 წუთზე მიხაელ მოლსმა გახსნა. მას მორის როსმა ჩააწოდა პასი. აღსანიშნავია, რომ იმავ მოლსს უკვე მე-2 წუთზე შეეძლო გოლის გატანა, მაგრამ უშუალოდ კარის წინ მდგომმა ვერ დაუმიზნა ხეირიანად.

შესვენების შემდეგ „ჰიბერნიანი" თავჩაქინდრული ჩანდა, სანამ ყმაწვილმა ბობი უილიამსონმა (სწორედ მან, ვინც წინა ეტაპზე „სელტიკის" გაგდებაში ითამაშა მთავარი როლი) საფინალო სასტვენამდე 15 წუთით ადრე სტივენ დობის არ გააქვითინა ანგარიში. უფრო სწორად , დობიმ უილიამსონისგან პირველი პასი მიიღო, დერეკ რიონდანთან გაათამაშა ბურთი და შტეფან კლოსს გაუტანა. აღსანიშნავია, რომ კლოსს მანამდე, ფაქტობრივად, საქმე არ ჰქონია.

ანგარიშის გაქვითვის შემდეგ „რეინჯერმა" მეტოქეს შეუტია, მაგრამ 90-ე წუთზე ძალიან გაუმართლა გერი ოკონონის წაქცევის გამო მსაჯმა კენი კლარკმა მორის როსი პენალტით რომ არ დასაჯა. აღსანიშნავია, რომ მსაჯს პირველ ტაიმში უკვე ჰქონდა პენალტი დანიშნული — „ჰიბერნიანის" მეკარემ, დენიელ ანდერსონმა რონალდ დე ბური წააქცია, მსაჯმა ანდერსონს ყვითელი ბარათი აღუმართა, ანდერსონმა კი მაიკლ არტეტას აუღო.

დამატებით დროში „ჰიბზი" გოლის ავტორმა დობიმ გადაარჩინა. იგი კარის ხაზზე იდგა, როდესაც კრეიგ მურმა დარტყა და ბურთიც კარში გაფრინდა.

რაც შეეხება ქართველ რეინჯერსელებს: შოთა არველაძე, როგორც მატჩის მიმოხილვაში ვკითხულობთ, პირველ ტაიმში პასიური იყო, მეორეში კი უფრო იაქტიურა და ერთი-ორჯერ ანდერსონი საქმეში ჩართო, მაგრამ მატჩის შემდგომ პენალტი ააცილა, ხოლო ზურაბ ხიზანიშვილმა ერთხელაც დაამტკიცა, რომ უნივერსალია. იგი სათამაშოდ 72-ე წუთზე ჯერ ნახევარმცველად შევიდა, შემდეგ კი მარჯვენა მცველად გადაინაცვლა. აი, პენალტი კი მანაც ვერ შეაგდო.

**პაპუნა ბედია**



რეინჯერსელი ტყუპები ფრანკ და რონალდ დე ბურები „ჰიბერნიანთან" შერცხვნენ

# თოთხმეტი წლის შემდეგ

## იტალია

თასის 1/2 ფინალი. I მატჩი

**მილანი 1:2 ლაციო**

0:1 ფიორე (1), 0:2 კოუტუ (36), 1:2 ინძაგი (45)

მილანი: აბიატი, შიმიჩი (კაფუ 77), ლაურსენი, ნესტა, პანკარო (ბორიელო 62), ბროკი, ფ. რედონდო, სერჟინიო, რუი კოშტა, ფ. ინძაგი (კაკა 77), ტომასონი

მწვრთნელი: კარლო ანჩელოტი

ლაციო: სერენი, სტამი, ფ. კოუტუ, მიხაილოვიჩი, ძაური, ფიორე (ფავალი 84), ალბერტინი, ჯანიკედა, სეზარი (კ. ლოპესი 71), კორადი, მუცი (ლივერანი 57)

მწვრთნელი: რობერტო მანჩინი

გაფრთხილება: კოუტუ, ჯანიკედა, კორადი

მსაჯი: როზეტი

10 907 მაყურებელი

*საპასუხო მატჩი გაიმართება 11 თებერვალს*

იტალიის თასის მფლობელმა 1:2 წააგო — სტეფანო ფიორესა და ფერნანდუ კოუტუს გოლებმა ფილიპო ინძაგის ერთი საპასუხო გადასწონეს და შედეგად „ლაციომ" „მილანს" მილანში ბოლო თოთხმეტ წელიწადში პირველად მოუგო.

არადა, „მილანი" მოედანზე ყინჩად გავიდა, რადგან ბოლო რვა თამაში მოგებული ჰქონდა და 50-დღიანი მკურნალობის შემდეგ ფილიპო ინძაგიც დაუბრუნდა, მაგრამ ის დღე ნავსი რომ იყო, პირველივე წუთიდან გამოჩნდა — მარტინ ლაურსენმა ბურთი მეკარე კრისტიან აბიატის დაუგორა, ხოლო როდესაც აბიატიმ მისი დანიელისთვის დაბრუნება გადაწყვიტა, გზად ფიორე გაეჩხირა და ასე, რიკოშეტით გაიხსნა ანგარიში.

შემდეგ „მილანმა", ბუნებრივია, ანგარიშის გათანაბრება სცადა და 21-ე წუთზე რომაელთა მეკარეს, სერენის იონ დალ ტომასონის თავურის დიდებულად მოგერიება აიძულა, მაგრამ 36-ე წუთზე ანგარიში კი არ გათანაბრდა, გაორდა. ეს სინიშა მიხაილოვიჩის კუთხურს მოჰყვა, რომლიდანაც ბურთი ბერნარდო კორადის მიუვიდა, რომელმაც ახლოდან დაარტყა და ფერნანდუ კოუტუს წაშველებით აბიატის კარში შევარდა.

მაგრამ „მილანი" „მილანია" და „ლაციოს" ქომაგებს თავი უკვე ფინალში რომ ეგონათ, პირველი ტაიმის მიწურულს, მსაჯის წამატებულ წუთებში, ინძაგიმ განუმარტათ, რომ წინ სანერვიულო მეორე ტაიმი ელით. ინძაგიმ პასი რუი კოშტასგან მიიღო და ანგარიში 1:2 გახდა.

შესვენების შემდეგ პირველი შიში სტუმრებმა ჭამეს, როდესაც მიხაილოვიჩმა კინაღამ თავის კარში გაიტანა გოლი, თუმცა ერთი ხნის შემდეგ შიში ჭამა „მილანმაც", როდესაც ყოფილმა შავ-წითელმა და „სან-სიროს" გმირმა, დემეტრიო ალბერტინიმ საჯარიმოს მისადგომებიდან ბურთი ძელს გაარტყა.

მერე „ლაციოს" მეკარემ 54-ე წუთზე ინძაგის დ 69-ზე ბორიელოს დარტყმების მოგერიება შეძლო, რასაც მასპინძელთათვის ერთგვარი უიღბლობაც დაემატა — როდესაც მსაჯმა როზეტიმ ჯანიკედას აშკარა ხელით ნათამაშევი ვერ შეამჩნია, მაგრამ ბოლო ორი მომენტი უკვე სტუმრებისა გამოდგა: ფიორეს დიაგონალური დარტყმა ძელს გაეხახუნა და აბიატიმ ბოლო წუთზე ძაურის დარტყმულიც მოიგერია.

„მილანმა" ისევ კახა კალაძის გარეშე ითამაშა.

**პაპუნა ბედია**



50 დღის „ნაშიმშილარი" ფილიპო ინძაგი გოლით დაპურდა

# უტურიელობა ძნელი ყოფილა

## ესპანეთი

თასის 1/2 ფინალი. I მატჩი

**ალავესი 1:1 სარაგოსა**

1:0 ვუჩკო (19), 1:1 სავიო (90)

ალავესი: ხუან პაბლო, ოჩოა, სიეტესი, ტელიესი, კოირა, პაბლო, ედუ ალონსო, ტურიელი, რომო (კიკო 60), ივან ალონსო, ვუჩკო (ასტუდილიო 78)

მწვრთნელი: პეპე მელი

სარაგოსა: ლაინესი, კუარტერო, ალვარო, მილიტო, ტოლედო, ფრონი (მოვილია 46), ჩანი, სავიო, ხენერელო (დანი 62), დრულიჩი (სორიანო 46), ვილა

მწვრთნელი: ვიქტორ მუნიოსი

გაფრთხილება: ალვარო, ტურიელი, მოვილია, ტურიელი, მილიტო

გაძევება: ტურიელი (75)

მსაჯი: რამირეს დომინგესი

14 400 მაყურებელი

*საპასუხო მატჩი გაიმართება 12 თებერვალს*

საქმეს ისეთი პირი უჩანს, „სარაგოსას" სეგუნდადივიზიონელი „ალავესის" დამარცხება უფრო გაუჭირდება, ვიდრე „ბარსელონასი". პირველ ნახევარფინალურ შეხვედრაში სარაგოსელები ბრაზილიელი სავიოს წამატებულ დროში გატანილი გოლით გადაურჩნენ მარცხს.

მადრიდის „რეალის" ოდინდელმა ფეხბურთელმა პირველ წამატებულ წუთზე ვიტორიელთა კარის შორეულ ძელთან მყოფმა მიიღო დავიდ ვილიას პასი და იურიცა ვუჩკოს ადრიანი გოლი გაქვითა.

„ალავესი" თითქმის მთელი მატჩი გვარიან უპირატესობას ფლობდა, მაგრამ იმ ერთი გოლის მეტი ვერ გაიტანა. ვუჩკოს კი ივან ალონსომ მისცა საგოლე პასი.

სარაგოსელები მხოლოდ მას მერე გააქტიურდნენ, რაც მეორე გაფრთხილებით ალავესელ ნახევარმცველ ხესუს ანხელ ტურიელს მოედანი დაატოვებინეს. თუმცა გააქტიურების მიუხედავად, „სარაგოსას" ვიტორიელთა კართან ბლომად მომენტები მაინც არ შეუქმნია.

**კოტე კეკელია**



ყოფილმა რეალელმა სავიომ „სარაგოსა" მარცხისგან იხსნა

## Copa Toyota Libertadores '2004

### ლიბერტადორესის თასი 2004. ჯგუფური ეტაპი

I ჯგუფი. I ტური

**სან კაეტანო (ბრაზილია) 4:2 სთრონგესტი (ბოლივია)**

1:0 სომალია (17), 2:0 ჟილბერტო (45), 2:1 ფ. ფერეირა (52), 3:1 მარსინიო (53), 4:1 ანდერსონ ლიმა (573), 4:2 ლ. მენდესი (71)

გაძევება: მარსინიო (60, „სან კაეტანო")

VII ჯგუფი. I ტური

**ხორხე უილსტერმანი (ბოლივია) 2:3 სანტოსი (ბრაზილია)**

0:1, 0:2 ბასილიო (14, 24), 1:2 ტულიო (34), 2:2 მარინი (75), 2:3 ალექსი (85)

IX ჯგუფი. I ტური

**ოლიმპია (პარაგვაი) 0:2 როსარიო სენტრალი (არგენტინა)**

0:1 ბელოსო (63), 0:2 ერერა (78)

ეროვნული ბიბლიოთეკა

## იტალია

პაპუნა კედია

# ყურადღება!

## ხვალ მილანი ვიღაცას გადაუფრენს

| XX ტური | | |
|---|---|---|
| **დღეს** | | |
| კიევო | — | ლეჩე |
| უდინეზე | — | ბოლონია |
| **ხვალ** | | |
| მოდენა | — | ანკონა |
| რეჯინა | — | ბრეშა |
| სამპდორია | — | ინტერი |
| რომა | — | იუვენტუსი |
| პარმა | — | ლაციო |
| მილანი | — | პერუჯა |
| ემპოლი | — | სიენა |

| საღლეისო ვითარება | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მილანი | 19 | 15 | 3 | 1 | 37:9 | 48 |
| რომა | 19 | 13 | 4 | 2 | 37:9 | 43 |
| იუვენტუსი | 19 | 13 | 4 | 2 | 42:21 | 43 |
| ინტერი | 19 | 10 | 5 | 4 | 33:13 | 35 |
| პარმა | 19 | 9 | 6 | 4 | 28:21 | 33 |
| ლაციო | 19 | 10 | 3 | 6 | 27:22 | 33 |
| უდინეზე | 19 | 8 | 6 | 5 | 22:19 | 30 |
| სამპდორია | 19 | 7 | 7 | 5 | 23:21 | 28 |
| კიევო | 19 | 7 | 4 | 8 | 21:23 | 25 |
| ბრეშა | 19 | 5 | 7 | 7 | 28:32 | 22 |
| სიენა | 19 | 5 | 6 | 8 | 27:27 | 21 |
| ბოლონია | 19 | 5 | 6 | 8 | 19:26 | 21 |
| რეჯინა | 19 | 4 | 8 | 7 | 18:30 | 20 |
| მოდენა | 19 | 4 | 6 | 9 | 14:25 | 18 |
| ლეჩე | 19 | 4 | 3 | 12 | 21:35 | 15 |
| ემპოლი | 19 | 3 | 4 | 12 | 14:35 | 13 |
| პერუჯა | 19 | 0 | 11 | 8 | 22:35 | 11 |
| ანკონა | 19 | 0 | 5 | 14 | 7:37 | 5 |

**ხვალ,** თბილისის დროით ღამის თორმეტის ნახევარზე სერია A პასუხს გასცემს კითხვას: ვინ გახდება „მილანის" მთავარი მდევარი, „რომა" თუ „იუვენტუსი"? თუმცა, რატომ ვაკეთებთ აქცენტს მხოლოდ ამ ერთ კითხვაზე, განა „რომასა" და „იუვეს" თამაში, რა გინდა რა კუთხით, არ არის მნიშვნელოვანი და საინტერესო? ეს ხომ იტალიური ფეხბურთის ცნობილი დუელია, ამხანაგური მატჩი იყოს თუ გნებავთ.

მაგრამ მათ ხვალინდელ თამაშს, რომელიც რომში, „სტადიო ოლიმპიკოზე" გაიმართება, ცხრილი ამძაფრებს. როგორც „რომას", ასევე „მილანს" 43 ქულა აქვთ და ლიდერს ხუთით ჩამორჩებიან. ცნობისთვის: ამ ტურში „მილანი" „პერუჯას" ხვდება და თუ მოუგო, „რომასა" და „იუვეს" შორის დამარცხებულს უკვე სერიოზული ჩამორჩენა გამოუვა.



მარჩელო ლიპი

ახლა ფორმაზე. მართალია, „ბებერი ქალბატონის" ბოლოდროინდელ შედეგებს არა უშავს, მაგრამ მაინც შეიძლება ითქვას, რომ არც ერთი და არც მეორე გუნდი დღეს კარგ ფორმაში არ არის. განსაკუთრებით „რომას" უჭირს. ფაბიო კაპელოს გუნდს იანვარში ფეხი დაუცდა „უდინეზესთან", „მილანთან" და „ბრეშასთან", რის გამოც ამბობენ, რომ მწვრთნელს სისტემის შეცვლა მოუწევს. კერძოდ, კაპელოსთვის ამ სეზონში სამი თავდამსხმელით თამაში გახლდათ მნიშვნელოვანი, მაგრამ მატჩი მატჩს მისდევს და ანტონიო კასანო თავკაცისთვის სასურველ ფორმაში ვერა და ვერ შევიდა. ერთი სიტყვით, „რომას" სპეციალისტები სამფორვარდიანი შეტევიდან ორფორვარდიანზე გადასვლას ელიან, მაგრამ... არა ამ ტურში. ამ ტურში კასანო რაგინდა ცუდ ფორმაში იყოს, მაინც ითამაშებს, ვინაიდან „იუვენტუსს" ჰყავს ცუდი დაცვა.

ნახევარდაცვაში „რომას" უბრუნდება ოლივიე დაკური, რომელსაც ერთმატჩიანი დისკვალიფიკაცია გაუვიდა, ხოლო დაცვაში ჯონათან ძებინას მაგივრად ვალტერ სამუელის და კრისტიან კივუს მხარდამხარ კრისტიან პანუჩი ითამაშებს.

თავსატეხი, ფაბიო კაპელოსი არ იყოს, არც „იუვეს" თავკაცს, მარჩელო ლიპის აკლია. მისი მთავარი პრობლემა კი, როგორც მოგახსენეთ, დაცვაა. აი, მაგალითად, წინა ტურში, „კიევოსთან", ტურინელებმა მართალია, გოლი არ გაუშვეს და ამიტომ ერთი შეხედვით ეს მატჩი მაგალითად არც ვარგა, მაგრამ სინამდვილეში ბურთი მათ კარს რამდენჯერმე უბრალოდ აცდა, თორემ მომენტები, სწორედ დაცვის შეცდომების გამო იყო.

ლიპისთვის სასიამოვნო ფაქტი ნიკოლა ლეგროტალიეს გამოჯანმრთელებაა — ეს ის ფეხბურთელია, რომლის შესაძენად გასულ ზაფხულს სწორედ „რომა" და „იუვე" იბრძოდნენ.

„მილანი" კი, როგორც ზემოთ ვახსენეთ, „პერუჯას" ხვდება და თან „სან სიროზე". „პერუჯა" ის გუნდია, რომელსაც ჯერ მიმდინარე სეზონში თამაში არ მოუგია, მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ „პერუჯას" სწორედ „მილანისთვის" პრობლემების შექმნა ეხერხება ძალიან. კერძოდ, 2000 წელს პერუჯელებმა თვით „სან სიროზე" გაიმარჯვეს 2:1, ხოლო შინ შარშანაც მოიგეს (1:0) და შარშანწინაც (3:1). სერსე კოზმის გუნდში ვეტერანი ფაბრიციო რავანელი სავარაუდოდ ვერ ითამაშებს, მაგრამ „იუვენტუსისგან" ნათხოვი მარსელო ზალაიეტა მოედანზე გავა.

„ინტერი" „სიენასთან" 4:0 გამარჯვების შემდეგ, ცხადია, გენუაში, „სამპდორიასთან" წარმატებასაც შეეცდება, რათა ამ ორი მოგებით ცუდი პერიოდი კარგით შეცვალოს და შემდეგ ასევე განაგრძოს. პირველ წრეში, მილანში, „სამპდორიამ" 0:0 ითამაშა. აღსანიშნავია, რომ წინა ტურში ვალტერ ნოველინოს გუნდმა „ლაციოსთან" ფრედ ითამაშა და ბაცანიმ ისევ გოლი გაიტანა.

მილანელთა მწვრთნელი ალბერტო ძაკერონი კი, როგორც მოსალოდნელია, ისევ იმ შემადგენლობით ითამაშებს, რითაც „სიენა" გაანადგურა. არ იქნებიან ჯერაც გამოსაჯანმრთელებელი კრისტიან ვიერი და ობაფემი მარტინსი.

და კიდევ, ყურადღებამისაქცევი, ამ ტურში, ორი გალარიბებული და ჩემპიონთა ლიგაში გასვლის მსურველი გუნდის, „პარმასა" და „ლაციოს" დუელია. რა გითხრათ, რით გაგახაროთ, იმ დღესთან შედარებით, როდესაც პირველ წრეში „პარმამ" რომში 3:2 მოიგო, ახლა ორივეს შემადგენლობა შეცვლილია და...

## ინგლისი

კოტე კაკალია




კლაუდიო რანიერი სკოტ პარკერს მისი ყოფილი გუნდის წინააღმდეგ ვერ დაიხმარს

# ქვიშიანი მოგონება

| XXIV ტური | | |
|---|---|---|
| **დღეს** | | |
| ასტონ ვილა | — | ლიდსი |
| ბოლტონი | — | ლივერპული |
| ევერტონი | — | მანჩესტერი |
| მიდლსბრო | — | ბლექბერნი |
| ნიუკასლი | — | ლესტერი |
| საუთჰემპტონი | — | ფულემი |
| ტოტენჰემი | — | პორტსმუთი |
| ვულვზი | — | არსენალი |
| **ხვალ** | | |
| ჩელსი | — | ჩარლტონი |
| სიტი | — | ბირმინგემი |

| საღლეისო ვითარება | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| არსენალი | 23 | 16 | 7 | 0 | 44:15 | 55 |
| მანჩესტერი | 23 | 17 | 2 | 4 | 43:17 | 53 |
| ჩელსი | 23 | 15 | 4 | 4 | 43:19 | 49 |
| ჩარლტონი | 23 | 10 | 7 | 6 | 32:25 | 37 |
| ლივერპული | 23 | 9 | 7 | 7 | 32:24 | 34 |
| ნიუკასლი | 23 | 8 | 10 | 5 | 31:24 | 34 |
| ფულემი | 23 | 10 | 4 | 9 | 36:33 | 34 |
| ბოლტონი | 23 | 8 | 8 | 7 | 28:34 | 32 |
| ბირმინგემი | 22 | 8 | 7 | 7 | 20:26 | 31 |
| საუთჰემპტონი | 23 | 8 | 6 | 9 | 23:21 | 30 |
| ასტონ ვილა | 23 | 8 | 6 | 9 | 26:27 | 30 |
| მიდლსბრო | 22 | 7 | 7 | 8 | 23:26 | 28 |
| ტოტენჰემი | 23 | 8 | 3 | 12 | 27:33 | 27 |
| ევერტონი | 23 | 6 | 7 | 10 | 25:29 | 25 |
| სიტი | 23 | 5 | 8 | 10 | 32:35 | 23 |
| ბლექბერნი | 23 | 6 | 5 | 12 | 34:39 | 23 |
| პორტსმუთი | 23 | 6 | 5 | 12 | 25:33 | 23 |
| ლესტერი | 23 | 4 | 8 | 11 | 31:43 | 20 |
| ვულვზი | 23 | 4 | 8 | 11 | 20:44 | 20 |
| ლიდსი | 23 | 4 | 5 | 14 | 19:47 | 17 |

**ტურისწინა** ამბების მოყოლა „ჩელსი" — „ჩარლტონის" მატჩით დავიწყოთ, რისი რამდენიმე მიზეზიც გვაქვს. ერთი, რომ ეს გუნდები ცხრილში მეზობლები არიან და ორთავეს დიდი მიზნები ამოუჭრია გულში. „ჩელსის" ჩემპიონობა სურს, „ჩარლტონს" კი — ჩემპიონთა ლიგაში თამაში. მეორე მიზეზი ის გახლავთ, რომ ორივე ლონდონური გუნდია, ანუ ერთგვარ დერბისთან გვაქვს საქმე. მესამე — პირველ წრეში ჩარლტონელებმა ჩელსელებს თავმოყვარეობა შეულახეს, 4:2 მოუგეს. თავის მხრივ, „ჩელსიმ" „სტემფორდ ბრიჯზე" ჩარლტონელთა ბოლო სტუმრობისას 4:1 მოიგო და იმ მატჩისას დატრიალებული ამბები ხვალინდელ მატჩს კიდევ ერთ ინტრიგას მატებს. თუ გახსოვთ, მაშინ „ჩელსის" უფროსობას თამაშის წინა დღეს გაზონის შეცვლა მოეპრიანა, ამის თაობაზე მეტოქე არ გააფრთხილა და სათამაშოდ გასულ ჩარლტონელებს ბალახის ნაცვლად ქვიშა დახვდათ. ამ ამბავს ასოციაციაში პროტესტი და ხმაური მოჰყვა.

ხვალინდელი მატჩის წინ კი შემადგენლობების თაობაზე ერთი რამ შეგვიძლია ვთქვათ — „ჩელსის" წინა კვირაში ამავ „ჩარლტონიდან" 10 მილიონ გირვანქად ნაყიდი სკოტ პარკერის გაყვანა არ შეეძლება, რაკი სატრანსფერო დოკუმენტები ჯერ წესრიგში არ არის.

ამასობაში ლიდერი „არსენალი" წყალწაღებულ „ვულვზს" სტუმრობს. თუმცა ისიცაა, რომ ბოლო მატჩებში „ვულვზმა" „მანჩესტერს" და „ლივერპულს" ოთხი ქულა აართვა. მეორე მხრივ კი, მასპინძლებს დისკვალიფიცირებული პოლ ინსი არ ეყოლებათ. მან ამ სეზონში უკვე 10 გაფრთხილების მიღება მოახერხა და ორი მატჩით მოკვეთეს.

„არსენალი", მოგეხსენებათ, შუა კვირაში თასიდან გავარდა, მაგრამ ამაზე ცრემლებს არ ღვრის. არსენ ვენგერს უფრო ის აწუხებს, რომ „ვულვზთან" ტრავმირებული ფრედი ლიუნგბერგი ვერ დაეხმარება.

სტუმრად თამაშობს „მანჩესტერ იუნაიტედიც". მასპინძელ „ევერტონს" შავად აქვს საქმე. გუნდს ბოლო ექვსი შეხვედრიდან ერთიც არ მოუგია და გასავარდნ ზონას ხუთი ქულაღა აშორებს.

საამმატჩოდ „ევერტონს" შესაძლოა, დანკან ფერგიუსონი დაუბრუნდეს, „იუნაიტედში" კი ალბათ რაიან გიგზი და გარი ნევილი დაბრუნდებიან. შეტევაში კი მანჩესტერელებს ლუი საჰას და ვან ნისტელროის ყველასთვის თავზარდამცემი წყვილი ეყოლება.

ლიგის თასის ფინალისტი „ბოლტონი" „ლივერპულს" დაუხვდება და მისგან იჯარით წაყვანილ ჯონ ოსტემობორსაც დაახვედრებს. მასპინძელთა ერთადერთი დანაკლისი ფორვარდი კევინ დევისია.

ლივერპულელებს, რომელთაც ზედიზედ სამი ტურია, ვერ მოუგიათ, ემილ ჰესკი არ ეყოლებათ, მის მაგიერ კი ტრავმამოშუშებული ფლორენ სინამა-პონგოლიე ითამაშებს.

მეექვსეადგილოსან „ნიუკასლს", რომელსაც ჩემპიონთა ლიგაში შებრომა „ლივერპულზე" არანაკლებ უნდა, გადახალისებულ „ლესტერთან" მოუხდება ბრძოლა. ლესტერელებმა „კაიზერსლაუტერნიდან" ნახევარმცველი შტეფან ფრეინდი ისესხეს, ფორვარდი ლი მორისი კი „დერბი ქაუნთიდან" გადაიყვანეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

| XIX ტური | | |
|---|---|---|
| **დღეს** | | |
| ლევერკუზენი | — | აინტრახტი |
| ჰანზა | — | ფრაიბურგი |
| გლადბახი | — | ვერდერი |
| ლაუტერნი | — | კიოლნი |
| შალკე | — | მიუნხენი |
| ვოლფსბურგი | — | დორტმუნდი |
| ჰამბურგი | — | ბოხუმი |
| **ხვალ** | | |
| ჰერტა | — | შტუტგარტი |
| ბაიერნი | — | ჰანოვერი |

| საღლეისო ვითარება | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვერდერი | 18 | 13 | 3 | 2 | 49:20 | 42 |
| შტუტგარტი | 18 | 11 | 5 | 2 | 26:7 | 38 |
| ბაიერნი | 18 | 10 | 6 | 2 | 41:20 | 36 |
| ლევერკუზენი | 18 | 10 | 5 | 3 | 34:18 | 35 |
| ბოხუმი | 18 | 8 | 5 | 5 | 31:22 | 29 |
| შალკე | 18 | 7 | 6 | 5 | 24:23 | 27 |
| დორტმუნდი | 18 | 7 | 4 | 7 | 29:26 | 25 |
| ვოლფსბურგი | 18 | 8 | 1 | 9 | 35:33 | 25 |
| ფრაიბურგი | 18 | 7 | 3 | 8 | 25:37 | 24 |
| ჰანოვერი | 18 | 6 | 5 | 7 | 33:39 | 23 |
| ჰამბურგი | 18 | 6 | 5 | 7 | 25:32 | 23 |
| მიუნხენი | 18 | 6 | 4 | 8 | 20:27 | 22 |
| ჰანზა | 18 | 5 | 4 | 9 | 24:29 | 19 |
| გლადბახი | 18 | 5 | 4 | 9 | 18:25 | 19 |
| კიოლნი | 18 | 4 | 4 | 10 | 16:26 | 16 |
| ლაუტერნი | 18 | 5 | 3 | 10 | 21:33 | 15 |
| აინტრახტი | 18 | 3 | 4 | 11 | 17:29 | 13 |
| ჰერტა | 18 | 2 | 7 | 9 | 15:37 | 13 |

„კაიზერსლაუტერნს" დაკლებული აქვს 3 ქულა

## გერმანია

ირაკლი ნინიძე

# შერცხვენილ ბაიერნს თავმოყვარეობა უხსნის



როი მაკაის და მიხაელ ბალაკს „ჰანოვერთან" წაფორხილებას აღარ აპატიებენ



ოტმარ ჰიცფელდი

თავმოყვარეობის ამბავია — თასის მეოთხედფინალში აახენის „ალემანიასთან" დამარცხების მერე „ბაიერნს" ცხრილის შუაში გაჩხერილი „ჰანოვერის" ძლევა მართებს, თორემ თავმოყვარეობას ვინ ჩივის, ეგებ ბუნდესლიგის მოგებაზე ოცნება იქით დარჩეს.

| 5529 | მილანი-პერუჯა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5531 | მოდენა-ანკონა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5532 | პარმა-ლაციო | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5533 | რეჯინა-ბრეშა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5534 | სამპდორია-ინტერი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5535 | რომა-იუვენტუსი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5538 | ვალენსია-ატლეტიკო | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5539 | რეალი-მალაგა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5541 | ესპანიოლი-ვალიადოლიდი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5542 | ალბასეტე-დეპორტივო | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5543 | სევილია-მალიორკა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5544 | ბილბაო-მურსია | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5545 | რასინგი-ბეტისი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5546 | სელტა-ვილიარეალი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5547 | ოსასუნა-ბარსელონა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5548 | სარაგოსა-სოსიედადი | 3,0 | 2,8 | 2,0 |

## რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)

| | | | |
|---|---|---|---|
| 5401 | ასტონ ვილა-ლიდსი | 1,4 | 3,0 |
| 5402 | ბოლტონი-ლივერპული | 1,95 | 1,85 |
| 5403 | ევერტონი-მანჩესტერი | 2,6 | 1,5 |
| 5404 | მიდლსბრო-ბლექბერნი | 1,75 | 2,1 |
| 5405 | ნიუკასლი-ლესტერი | 1,3 | 3,4 |
| 5406 | საუთჰემპტონი-ფულემი | 1,75 | 2,1 |
| 5407 | ტოტენჰემი-პორტსმუთი | 1,45 | 2,8 |
| 5408 | ვულვერჰემპტონი-არსენალი | 3,2 | 1,35 |
| 5409 | სიტი-ბირმინგემი | 1,8 | 2,0 |
| 5410 | ჩელსი-ჩარლტონი | 1,3 | 3,4 |
| 5414 | შალკე-მიუნხენი | 1,4 | 3,0 |
| 5415 | ვოლფსბურგი-დორტმუნდი | 1,85 | 1,95 |
| 5416 | ჰამბურგი-ბოხუმი | 1,65 | 2,3 |
| 5417 | მიონხენგლადბახი-ვერდერი | 2,0 | 1,8 |
| 5418 | კაიზერსლაუტერნი-კიოლნი | 1,65 | 2,3 |
| 5419 | ლევერკუზენი-აინტრახტი | 1,25 | 3,6 |
| 5421 | ჰანზა-ფრაიბურგი | 1,65 | 2,3 |
| 5422 | ბაიერნი-ჰანოვერი | 1,15 | 4,0 |
| 5424 | ჰერტა-შტუტგარტი | 2,0 | 1,8 |
| 5426 | კიევო-ლეჩე | 1,55 | 2,5 |
| 5427 | უდინეზე-ბოლონია | 1,65 | 2,3 |
| 5428 | ემპოლი-სიენა | 1,8 | 2,0 |
| 5429 | მილანი-პერუჯა | 1,1 | 5,0 |
| 5431 | მოდენა-ანკონა | 1,3 | 3,4 |
| 5432 | პარმა-ლაციო | 1,85 | 1,95 |
| 5433 | რეჯინა-ბრეშა | 1,8 | 2,0 |
| 5434 | სამპდორია-ინტერი | 2,0 | 1,8 |
| 5435 | რომა-იუვენტუსი | 1,85 | 1,95 |
| 5438 | ვალენსია-ატლეტიკო | 1,4 | 3,0 |
| 5439 | რეალი-მალაგა | 1,1 | 5,0 |
| 5441 | ესპანიოლი-ვალიადოლიდი | 1,85 | 1,95 |
| 5442 | ალბასეტე-დეპორტივო | 2,1 | 1,75 |
| 5443 | სევილია-მალიორკა | 1,75 | 2,1 |
| 5444 | ბილბაო-მურსია | 1,3 | 3,4 |
| 5445 | რასინგი-ბეტისი | 1,8 | 2,0 |
| 5446 | სელტა-ვილიარეალი | 1,8 | 2,0 |
| 5447 | ოსასუნა-ბარსელონა | 1,95 | 1,85 |
| 5448 | სარაგოსა-სოსიედადი | 1,95 | 1,85 |

## გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

| | | კი | არა |
|---|---|---|---|
| 5301 | ასტონ ვილა-ლიდსი | 1,75 | 1,85 |
| 5302 | ბოლტონი-ლივერპული | 1,7 | 1,9 |
| 5303 | ევერტონი-მანჩესტერი | 1,7 | 1,9 |
| 5304 | მიდლსბრო-ბლექბერნი | 1,7 | 1,9 |
| 5305 | ნიუკასლი-ლესტერი | 1,8 | 1,8 |
| 5306 | საუთჰემპტონი-ფულემი | 1,7 | 1,9 |
| 5307 | ტოტენჰემი-პორტსმუთი | 1,75 | 1,85 |
| 5308 | ვულვერჰემპტონი-არსენალი | 1,75 | 1,85 |
| 5309 | სიტი-ბირმინგემი | 1,75 | 1,85 |
| 5310 | ჩელსი-ჩარლტონი | 1,8 | 1,8 |
| 5314 | შალკე-მიუნხენი | 1,65 | 1,95 |
| 5315 | ვოლფსბურგი-დორტმუნდი | 1,65 | 1,95 |
| 5316 | ჰამბურგი-ბოხუმი | 1,65 | 1,95 |
| 5317 | მიონხენგლადბახი-ვერდერი | 1,65 | 1,95 |
| 5318 | კაიზერსლაუტერნი-კიოლნი | 1,65 | 1,95 |
| 5319 | ლევერკუზენი-აინტრახტი | 1,7 | 1,9 |
| 5321 | ჰანზა-ფრაიბურგი | 1,65 | 1,95 |
| 5322 | ბაიერნი-ჰანოვერი | 1,7 | 1,9 |
| 5324 | ჰერტა-შტუტგარტი | 1,65 | 1,95 |
| 5326 | კიევო-ლეჩე | 1,65 | 1,95 |
| 5327 | უდინეზე-ბოლონია | 1,65 | 1,95 |
| 5328 | ემპოლი-სიენა | 1,65 | 1,95 |
| 5329 | მილანი-პერუჯა | 1,8 | 1,8 |
| 5331 | მოდენა-ანკონა | 1,7 | 1,9 |
| 5332 | პარმა-ლაციო | 1,65 | 1,95 |
| 5333 | რეჯინა-ბრეშა | 1,65 | 1,95 |
| 5334 | სამპდორია-ინტერი | 1,65 | 1,95 |
| 5335 | რომა-იუვენტუსი | 1,65 | 1,95 |
| 5338 | ვალენსია-ატლეტიკო | 1,65 | 1,95 |
| 5339 | რეალი-მალაგა | 1,75 | 1,85 |
| 5341 | ესპანიოლი-ვალიადოლიდი | 1,65 | 1,95 |
| 5342 | ალბასეტე-დეპორტივო | 1,65 | 1,95 |
| 5343 | სევილია-მალიორკა | 1,65 | 1,95 |
| 5344 | ბილბაო-მურსია | 1,7 | 1,9 |
| 5345 | რასინგი-ბეტისი | 1,65 | 1,95 |
| 5346 | სელტა-ვილიარეალი | 1,65 | 1,95 |
| 5347 | ოსასუნა-ბარსელონა | 1,65 | 1,95 |
| 5348 | სარაგოსა-სოსიედადი | 1,65 | 1,95 |

## I ტაიმის შედეგი

| | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 5001 | ასტონ ვილა-ლიდსი | 1,85 | 2,3 | 6,0 | 1,02 | 1,41 | 1,66 |
| 5002 | ბოლტონი-ლივერპული | 3,4 | 2,1 | 2,8 | 1,29 | 1,53 | 1,19 |
| 5003 | ევერტონი-მანჩესტერი | 6,0 | 2,3 | 1,85 | 1,36 | 1,41 | 1,02 |
| 5004 | მიდლსბრო-ბლექბერნი | 2,45 | 2,05 | 4,2 | 1,11 | 1,54 | 1,37 |
| 5005 | ნიუკასლი-ლესტერი | 1,6 | 2,8 | 7,0 | 1,01 | 1,3 | 2 |
| 5006 | საუთჰემპტონი-ფულემი | 2,45 | 2,05 | 4,2 | 1,11 | 1,54 | 1,37 |
| 5007 | ტოტენჰემი-პორტსმუთი | 1,9 | 2,3 | 5,6 | 1,04 | 1,41 | 1,63 |
| 5008 | ვულვერჰემპტონი-არსენალი | 6,5 | 2,7 | 1,65 | 1,9 | 1,31 | 1,02 |
| 5009 | სიტი-ბირმინგემი | 2,6 | 2,05 | 3,8 | 1,14 | 1,54 | 1,33 |
| 5010 | ჩელსი-ჩარლტონი | 1,6 | 2,8 | 7,0 | 1,01 | 1,3 | 2 |
| 5014 | შალკე-მიუნხენი | 1,95 | 2,25 | 5,6 | 1,04 | 1,44 | 1,6 |
| 5015 | ვოლფსბურგი-დორტმუნდი | 2,9 | 2,1 | 3,3 | 1,21 | 1,54 | 1,28 |
| 5016 | ჰამბურგი-ბოხუმი | 2,3 | 2,1 | 4,6 | 1,09 | 1,53 | 1,44 |
| 5017 | მიონხენგლადბახი-ვერდერი | 3,6 | 2,1 | 2,6 | 1,32 | 1,5 | 1,16 |
| 5018 | კაიზერსლაუტერნი-კიოლნი | 2,25 | 2,1 | 4,8 | 1,08 | 1,53 | 1,46 |
| 5019 | ლევერკუზენი-აინტრახტი | 1,65 | 2,7 | 6,5 | 1,02 | 1,31 | 1,9 |
| 5021 | ჰანზა-ფრაიბურგი | 2,35 | 2,1 | 4,4 | 1,1 | 1,53 | 1,42 |
| 5022 | ბაიერნი-ჰანოვერი | 1,45 | 3,2 | 7,5 | 1 | 1,21 | 2,24 |
| 5024 | ჰერტა-შტუტგარტი | 3,6 | 2,1 | 2,6 | 1,32 | 1,5 | 1,16 |
| 5026 | კიევო-ლეჩე | 2,15 | 2,15 | 5,0 | 1,07 | 1,5 | 1,5 |
| 5027 | უდინეზე-ბოლონია | 2,35 | 2,05 | 4,6 | 1,09 | 1,55 | 1,41 |
| 5028 | ემპოლი-სიენა | 2,7 | 2,05 | 3,6 | 1,16 | 1,54 | 1,3 |
| 5029 | მილანი-პერუჯა | 1,2 | 4,8 | 9,0 | 1 | 1,05 | 3,13 |
| 5031 | მოდენა-ანკონა | 1,75 | 2,4 | 6,0 | 1,01 | 1,35 | 1,71 |
| 5032 | პარმა-ლაციო | 3,0 | 2,1 | 3,2 | 1,23 | 1,54 | 1,26 |
| 5033 | რეჯინა-ბრეშა | 2,7 | 2,05 | 3,6 | 1,16 | 1,54 | 1,3 |
| 5034 | სამპდორია-ინტერი | 3,6 | 2,05 | 2,7 | 1,3 | 1,54 | 1,16 |
| 5035 | რომა-იუვენტუსი | 2,9 | 2,05 | 3,4 | 1,2 | 1,56 | 1,27 |
| 5038 | ვალენსია-ატლეტიკო | 1,95 | 2,25 | 5,6 | 1,04 | 1,44 | 1,6 |
| 5039 | რეალი-მალაგა | 1,2 | 4,8 | 10,0 | 1 | 1,07 | 3,24 |
| 5041 | ესპანიოლი-ვალიადოლიდი | 2,9 | 2,05 | 3,4 | 1,2 | 1,56 | 1,27 |
| 5042 | ალბასეტე-დეპორტივო | 4,0 | 2,1 | 2,45 | 1,37 | 1,51 | 1,13 |
| 5043 | სევილია-მალიორკა | 2,45 | 2,1 | 4,0 | 1,13 | 1,51 | 1,37 |
| 5044 | ბილბაო-მურსია | 1,85 | 2,3 | 6,0 | 1,02 | 1,41 | 1,66 |
| 5045 | რასინგი-ბეტისი | 2,8 | 2,05 | 3,5 | 1,18 | 1,55 | 1,29 |
| 5046 | სელტა-ვილიარეალი | 2,8 | 2,05 | 3,5 | 1,18 | 1,55 | 1,29 |
| 5047 | ოსასუნა-ბარსელონა | 3,3 | 2,05 | 3,0 | 1,26 | 1,57 | 1,21 |
| 5048 | სარაგოსა-სოსიედადი | 3,3 | 2,05 | 3,0 | 1,26 | 1,57 | 1,21 |

## რამდენი გოლი გავა მატჩში. (ძირითადი დრო)

(2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | | |
|---|---|---|---|
| 5201 | ასტონ ვილა-ლიდსი | 1,85 | 1,75 |
| 5202 | ბოლტონი-ლივერპული | 1,85 | 1,75 |
| 5203 | ევერტონი-მანჩესტერი | 1,95 | 1,65 |
| 5204 | მიდლსბრო-ბლექბერნი | 1,85 | 1,75 |
| 5205 | ნიუკასლი-ლესტერი | 1,85 | 1,75 |
| 5206 | საუთჰემპტონი-ფულემი | 1,9 | 1,7 |
| 5207 | ტოტენჰემი-პორტსმუთი | 1,85 | 1,75 |
| 5208 | ვულვერჰემპტონი-არსენალი | 1,95 | 1,65 |
| 5209 | სიტი-ბირმინგემი | 1,75 | 1,85 |
| 5210 | ჩელსი-ჩარლტონი | 1,95 | 1,65 |
| 5214 | შალკე-მიუნხენი | 1,95 | 1,65 |
| 5215 | ვოლფსბურგი-დორტმუნდი | 2,0 | 1,6 |
| 5216 | ჰამბურგი-ბოხუმი | 2,1 | 1,55 |
| 5217 | მიონხენგლადბახი-ვერდერი | 2,1 | 1,55 |
| 5218 | კაიზერსლაუტერნი-კიოლნი | 1,9 | 1,7 |
| 5219 | ლევერკუზენი-აინტრახტი | 2,2 | 1,5 |
| 5221 | ჰანზა-ფრაიბურგი | 1,9 | 1,7 |
| 5222 | ბაიერნი-ჰანოვერი | 2,3 | 1,45 |
| 5224 | ჰერტა-შტუტგარტი | 1,9 | 1,7 |
| 5226 | კიევო-ლეჩე | 1,85 | 1,75 |
| 5227 | უდინეზე-ბოლონია | 1,65 | 1,95 |
| 5228 | ემპოლი-სიენა | 1,75 | 1,85 |
| 5229 | მილანი-პერუჯა | 2,2 | 1,5 |
| 5231 | მოდენა-ანკონა | 1,75 | 1,85 |
| 5232 | პარმა-ლაციო | 1,75 | 1,85 |
| 5233 | რეჯინა-ბრეშა | 1,8 | 1,8 |
| 5234 | სამპდორია-ინტერი | 1,8 | 1,8 |
| 5235 | რომა-იუვენტუსი | 1,75 | 1,85 |
| 5238 | ვალენსია-ატლეტიკო | 1,9 | 1,7 |
| 5239 | რეალი-მალაგა | 2,3 | 1,45 |
| 5241 | ესპანიოლი-ვალიადოლიდი | 1,8 | 1,8 |
| 5242 | ალბასეტე-დეპორტივო | 1,8 | 1,8 |
| 5243 | სევილია-მალიორკა | 1,8 | 1,8 |
| 5244 | ბილბაო-მურსია | 1,9 | 1,7 |
| 5245 | რასინგი-ბეტისი | 1,8 | 1,8 |
| 5246 | სელტა-ვილიარეალი | 1,85 | 1,75 |
| 5247 | ოსასუნა-ბარსელონა | 1,85 | 1,75 |
| 5248 | სარაგოსა-სოსიედადი | 1,8 | 1,8 |

## ტურში გატანილი გოლების რაოდენობა

07.02 19.00 6001 ინგლისი პლ (XXIV) ........ 25 და ნაკლები – 1,9; 27 და მეტი – 1,9
07.02 18.30 6002 გერმანია ბლ (XIX) ........ 25 და ნაკლები – 1,9; 27 და მეტი – 1,9
07.02 21.00 6003 იტალია A (XX) ........ 23 და ნაკლები – 1,9; 25 და მეტი – 1,9
07.02 22.30 6004 ესპანეთი Iდ (XXIII) ........ 25 და ნაკლები – 1,9; 27 და მეტი – 1,9
06.02 24.00 6005 საფრანგეთი Iდ (XXIII) ........ 21 და ნაკლები – 1,9; 23 და მეტი – 1,9
06.02 01.30 6006 პორტუგალია სლ (XXI) ........ 22 და ნაკლები – 1,9; 24 და მეტი – 1,9
07.02 21.00 6007 ბელგია Iდ (XXI) ........ 25 და ნაკლები – 1,9; 27 და მეტი – 1,9

| 1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 5101 | ასტონ ვილა-ლიდსი | 2,0 | 10,0 | 20,0 | 3,4 | 4,6 | 10,0 | 20,0 | 10,0 | 10,0 |
| 5102 | ბოლტონი-ლივერპული | 4,2 | 10,0 | 20,0 | 4,8 | 4,4 | 4,4 | 20,0 | 10,0 | 3,5 |
| 5103 | ევერტონი-მანჩესტერი | 8,0 | 10,0 | 20,0 | 9,0 | 4,6 | 3,4 | 20,0 | 10,0 | 2,2 |
| 5104 | მიდლსბრო-ბლექბერნი | 3,0 | 10,0 | 20,0 | 4,0 | 4,4 | 6,0 | 20,0 | 10,0 | 5,3 |
| 5105 | ნიუკასლი-ლესტერი | 1,7 | 12,0 | 25,0 | 3,4 | 4,8 | 14,0 | 20,0 | 12,0 | 12,0 |
| 5106 | საუთჰემპტონი-ფულემი | 3,0 | 10,0 | 20,0 | 4,0 | 4,4 | 6,0 | 20,0 | 10,0 | 5,3 |
| 5107 | ტოტენჰემი-პორტსმუთი | 2,1 | 10,0 | 20,0 | 3,4 | 4,6 | 10,0 | 20,0 | 10,0 | 9,0 |
| 5108 | ვულვერჰემპტონი-არსენალი | 12,0 | 12,0 | 20,0 | 14,0 | 4,6 | 3,4 | 25,0 | 12,0 | 1,9 |
| 5109 | სიტი-ბირმინგემი | 3,3 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 5,3 | 20,0 | 10,0 | 4,8 |
| 5110 | ჩელსი-ჩარლტონი | 1,7 | 12,0 | 25,0 | 3,4 | 4,8 | 14,0 | 20,0 | 12,0 | 12,0 |
| 5114 | შალკე-მიუნხენი | 2,3 | 10,0 | 20,0 | 3,4 | 4,6 | 9,0 | 20,0 | 10,0 | 8,0 |
| 5115 | ვოლფსბურგი-დორტმუნდი | 3,6 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 4,8 | 20,0 | 10,0 | 4,0 |
| 5116 | ჰამბურგი-ბოხუმი | 2,7 | 10,0 | 20,0 | 3,6 | 4,4 | 6,5 | 20,0 | 10,0 | 6,0 |
| 5117 | მიონხენგლადბახი-ვერდერი | 4,6 | 10,0 | 20,0 | 5,3 | 4,4 | 4,4 | 20,0 | 10,0 | 3,3 |
| 5118 | კაიზერსლაუტერნი-კიოლნი | 2,6 | 10,0 | 20,0 | 3,6 | 4,4 | 7,0 | 20,0 | 10,0 | 6,5 |
| 5119 | ლევერკუზენი-აინტრახტი | 1,7 | 15,0 | 30,0 | 3,5 | 4,8 | 14,0 | 20,0 | 12,0 | 12,0 |
| 5121 | ჰანზა-ფრაიბურგი | 2,8 | 10,0 | 20,0 | 3,8 | 4,4 | 6,5 | 20,0 | 10,0 | 5,6 |
| 5122 | ბაიერნი-ჰანოვერი | 1,5 | 20,0 | 40,0 | 3,5 | 6,0 | 17,0 | 25,0 | 17,0 | 17,0 |
| 5124 | ჰერტა-შტუტგარტი | 4,8 | 10,0 | 20,0 | 5,3 | 4,4 | 4,2 | 20,0 | 10,0 | 3,3 |
| 5126 | კიევო-ლეჩე | 2,4 | 10,0 | 20,0 | 3,4 | 4,4 | 9,0 | 20,0 | 10,0 | 8,0 |
| 5127 | უდინეზე-ბოლონია | 2,8 | 10,0 | 20,0 | 3,8 | 4,4 | 8,0 | 20,0 | 10,0 | 7,5 |
| 5128 | ემპოლი-სიენა | 3,4 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 6,0 | 20,0 | 10,0 | 5,6 |
| 5129 | მილანი-პერუჯა | 1,3 | 20,0 | 50,0 | 3,5 | 7,0 | 25,0 | 30,0 | 22,0 | 22,0 |
| 5131 | მოდენა-ანკონა | 1,8 | 10,0 | 20,0 | 3,4 | 4,4 | 12,0 | 20,0 | 12,0 | 12,0 |
| 5132 | პარმა-ლაციო | 3,8 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 4,4 | 20,0 | 10,0 | 4,0 |
| 5133 | რეჯინა-ბრეშა | 3,4 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 6,0 | 20,0 | 10,0 | 5,6 |
| 5134 | სამპდორია-ინტერი | 4,6 | 10,0 | 20,0 | 5,3 | 4,4 | 4,4 | 20,0 | 10,0 | 3,5 |
| 5135 | რომა-იუვენტუსი | 3,6 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 4,6 | 20,0 | 10,0 | 4,2 |
| 5138 | ვალენსია-ატლეტიკო | 2,1 | 10,0 | 20,0 | 3,4 | 4,4 | 10,0 | 20,0 | 10,0 | 9,0 |
| 5139 | რეალი-მალაგა | 1,4 | 25,0 | 50,0 | 3,6 | 6,0 | 20,0 | 30,0 | 20,0 | 20,0 |
| 5141 | ესპანიოლი-ვალიადოლიდი | 3,6 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 4,8 | 20,0 | 10,0 | 4,0 |
| 5142 | ალბასეტე-დეპორტივო | 5,0 | 10,0 | 20,0 | 5,6 | 4,4 | 4,0 | 20,0 | 10,0 | 3,1 |
| 5143 | სევილია-მალიორკა | 3,0 | 10,0 | 20,0 | 4,0 | 4,4 | 6,0 | 20,0 | 10,0 | 5,6 |
| 5144 | ბილბაო-მურსია | 1,9 | 10,0 | 20,0 | 3,4 | 4,6 | 12,0 | 20,0 | 11,0 | 11,0 |
| 5145 | რასინგი-ბეტისი | 3,5 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 5,3 | 20,0 | 10,0 | 4,4 |
| 5146 | სელტა-ვილიარეალი | 3,5 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 5,3 | 20,0 | 10,0 | 4,4 |
| 5147 | ოსასუნა-ბარსელონა | 3,8 | 10,0 | 20,0 | 4,6 | 4,4 | 4,4 | 20,0 | 10,0 | 3,8 |
| 5148 | სარაგოსა-სოსიედადი | 3,8 | 10,0 | 20,0 | 4,6 | 4,4 | 4,4 | 20,0 | 10,0 | 3,8 |

# იმედი არის, მთავარია, გუნდი იყოს

## ახალი ნაკრები: ბევრი ახალბედა, ბევრი დამტვრეული...

**მომავალ კვირას ახალ ბორჯღალოსნებს საქმეში ვნახავთ – საქართველოს მორაგბეთა ნაკრები „ლოკომოტივზე" ერთა თასის მფლობელ პორტუგალიას დაუხვდება და შარშანდელი მარცხის რევანშის აღებას შეეცდება**





ნაკრების მწვრთნელთა ტრიოს და მოთამაშეებს სამუშაო არ აკლიათ

განწყობა როგორც ყოველთვის, საბრძოლოა, თუმც შესამჩნევად გადახალისებული გუნდის ბოლომდე შეთამაშება ალბათ დარჩენილ დღეებშიც ვერ მოესწრება. ნაკრების ახალმა თავკაცებმა პაატა ნარიმანაშვილმა, მალხაზ ჭეიშვილმა, დავით ჩავლეიშვილმა და მიშა ბურძგლამ კლოდ სორელის წასვლის შემდეგ ყურადღება ძირითადად საქართველოში მოთამაშე ახალგაზრდებზე გადაიტანეს. ბევრმა ვეტერანმაც სანაკრებო კარიერის დასრულება თავად ისურვა და შესაბამისად გაჩნდა კითხვა, ხომ არ დასუსტდება ნაკრები? ალბათ ასეც იქნება. შედეგიანობაც იკლებს, მაგრამ მთავარი ამოცანა ისეთი გუნდის შექმნაა, ახლო მომავალში აღმასვლას რომ იწყებს.

ახალი ბორჯღალოსნები ჯერ კიდევ შარშან, 27 დეკემბერს შეიკრიბნენ. მწვრთნელებმა გაფართოებულ შემადგენლობას უხმეს და ფიზიკურ-ტაქტიკური მომზადებაც გაახურეს. ბოლოხანს საკლუბო ნაკრებთან ერთი-ორჯერ ამხანაგურადაც ითამაშეს.

ხვალ აქაურებს ათამდე „ფრანგი" ლეგიონერიც შეუერთდება, ერთობლივად წაივარჯიშებენ და მწვრთნელთა ოთხეული პორტუგალიისთვის 22-კაცა შემადგენლობას ჩამოწერს.

გუშინ „ლოკომოტივის" სათადარიგო მოედანზე ნაკრების 24 კანდიდატი დაახლოებით 2 საათი ვარჯიშობდა. მოთელვისა და რამდენიმეწუთიანი ბურთიანი ვარჯიშის შემდეგ ჯგუფი ორად გაიყო. მოედნის ერთ მხარეს უკანა ხაზის მოთამაშეები მალხაზ ჭეიშვილმა ჩაიბარა და მარაოს გაშლაზე ამუშავა. მეორე მხარეს პაატა ნარიმანაშვილმა და დავით ჩავლეიშვილმა მორკინალები აუტების მოწოდებაში, შერკინებასა და მოლით ბურთის თრევაში ავარჯიშეს. მიხეილ ბურძგლა კი მოედნის ცენტრში ტრიალებდა და ორივე მხარეს აკონტროლებდა. აუტების მოსაგებად ძირითადად რატი ურუშაძესა და ილო ზედგინიძეს სწევდნენ. რამდენჯერმე მათ აკადემიელი შალვა პაპაშვილიც შეუნაცვლეს.

ცოტა ხანში უკანახაზელებს ნარიმანაშვილიც შეუერთდა და ბეკებმაც სწრაფ შეტევების დამუშავება სცადეს. ამათი ვარჯიში ამით დასრულდა. შერკინების ხალხმა კი მოედანი ათიოდ წუთის შემდეგ დატოვა.

**პაკა ალანია, ნაკრების ვეტერანი:** „კლოდ სორელის გარეშე თავს საკმაოდ კარგად ვგრძნობთ. ახალი მწვრთნელების ვარჯიშები კლოდის დროინდელისგან აშკარად განსხვავდება. მთავარი სიახლე სათამაშო სტილის შეცვლაა. თუ ადრე უპირატესობა ტექნიკურ მხარეს ენიჭებოდა, ახლა მთავარი ყურადღება ძალისმიერ თამაშზეა გადატანილი. ალბათ ეს ტაქტიკა გაამართლებს. ერთადერთი პრობლემა კი ამ ახალგაზრდების გამოუცდელობაა."

**ირაკლი მაჩხანელი:** „მართალია, ნაკრებში თამაშის ცოტაოდენი გამოცდილება მაქვს, მაგრამ თავს მაინც დებიუტანტად ვთვლი. დებიუტანტები არიან მწვრთნელებიც და შეკრებაზე მყოფ მორაგბეთა დიდი ნაწილიც. კეთდება ახალი გუნდი, რომელმაც ნელ-ნელა უნდა მოუმატოს. შეიძლება, თავიდან ისეთი ძლიერები ვერ ვიყოთ, როგორც წინამორბედები და მათნაირი შედეგებიც ვერ ვაჩვენოთ, მაგრამ ჩვენს სათქმელს მაინც ვიტყვით. ამ დღეებში ლეგიონერებიც შემოგვემატებიან და მაქსიმალურად შეთამაშებასაც ვეცდებით. პორტუგალიასთან აუცილებლად მოსაგებად ვიბრძოლებთ. თუ ტრავმამ ხელი არ შემიშალა, შარშანდელი მარცხის გამო რევანშის აღებას პირადად ვეცდები."

**ილო ზედგინიძე, ნაკრების კაპიტანი:** „კლოდის ვარჯიშებისგან მთავარი განსხვავება შერკინების უფრო მეტად დატვირთვაა. მთავარი აქცენტი ძალისმიერ ანუ კაცზე თამაშზე კეთდება, სამმეოთხედელებს უკეთესი პოზიციები რომ შევუქმნათ. მესამე ხაზიდან მეორეში გადავედი, რადგან ვთვლი, რომ იქ უკეთ ვითამაშებ, თუმც თანამედროვე რაგბიში ეს ამპლუები დიდად აღარც განსხვავდება."

**პაატა ნარიმანაშვილი, ერთ-ერთი მწვრთნელი:** „სრულ მზადყოფნამდე გუნდს ძალიან ბევრი უკლია, მაგრამ საფუძველი უკვე ჩაყრილია და ეს ალბათ პორტუგალიასთან კარგი თამაშით დადასტურდება. საბოლოო შემადგენლობას ლეგიონერების ჩამოსვლის შემდეგ დავასახელებთ. ჯერ ისიც კი არ ვიცით, რომლებიც გავძლიერდებით. მიზეზი ტრავმიანობაა. გუშინ ოთხი ლეგიონერის შველიძის, აშვეთიას, ჯიმშელაძისა და ჩხაიძის ჩამოსვლა გამოირიცხა. ადგილობრივთაგან კოჭის ტრავმის გამო გუნდიშვილი გამოგვაკლდა. აქილევსი და მხარი აწუხებს მაჩხანელს, თუმც მისი თამაშის იმედი ჯერ მაინც გვაქვს."

**ოთარ მაღლაკელიძე**

*ოთხი წელია, ბობა კვინიხიძე ნაკრების კანდიდატად ითვლება. მაგრამ „ლოკომოტივის" ათმა ნომერმა სორელისეულ გუნდში ფეხის მოკიდება ვერ მოახერხა — კლოდ სორელი მაინცდამაინც არ ენდობოდა. შარშანწინ რუმინეთთან წაგებულ მატჩში კვინიხიძეს მხოლოდ ერთი ტაიმი „მისცა". ამ მცირე დროში ბობამ რაგბის ზედაპირულად მცოდნე ხალხსაც დაამახსოვრა თავი ეფექტური თამაშით, მაგრამ სორელს ამის შემდეგაც არ გახსენებია.*

*დღეს ლოკომოტიველთა ათიანი ნაკრების გაფართოებულ შემადგენლობაშია და ევროპის ერთა თასზე პორტუგალიელთა დასახვედრად ემზადება*



# მოარტყამს ბობა ათიანში?

## პორტუგალია უშანსო ყოფილა...

— ბოლო წლებია, ნაკრების კანდიდატად ითვლებოდი, მაგრამ ერთხელ, ისიც ერთი ტაიმი ითამაშე. რატომ არ გენდობოდა სორელი?

— არ ვიცი, ეს მას უნდა ჰკითხოთ. ჩემი აზრით, სორელი ტენდენციური იყო, ალბათ არ უნდოდა, ჩემთვის შანსი მოეცა.

— რატომ? მასთან კონფლიქტი გქონდა?

— არა, ამისათვის არც დრო იყო და არც ფრანგული ვიცოდი.

— მაშინ რატომ არ გენდობოდა, ეგებ არ იყავი სანაკრებოდ მზად...

— არა მგონია, ასე ყოფილიყო. საკმაოდ ბევრი სარაგბო სპეციალისტი სთხოვდა გუნდში ჩემს აყვანას, სწორედ ეს ხალხი არ მოსდიოდა თვალში სორელს და მათ აზრს გაუგებარი პრინციპებით არ იზიარებდა. ერთი სიტყვით, ალბათ მარტო სორელმა თუ იცის, რატომ არ მომცა შანსი, მაგრამ მეეჭვება, სწორი ახსნა ჰქონდეს.

— სორელი წავიდა, ნაკრებს ახლა ქართველი მწვრთნელები ჰყავს, შენც გუნდში ხარ. როგორ ფიქრობ, მოხვდები საპორტუგალიო განაცხადში?

— არ ვიცი, ძნელია ახლა ამის მტკიცება. შანსები ორმოცდაათი-ორმოცდაათზეა.

— არ გაქვს შენი თავის იმედი?

— როგორ არ მაქვს, მაგრამ ყველაფერი მწვრთნელების გადასაწყვეტია.

— ათი ნომრის პოზიცია ყველაზე საპასუხისმგებლოა. როგორც ამ ამპლუის მოთამაშეს რა გაკლია?

— მე მგონი, უკვე ჩამოყალიბებული ათი ნომერი ვარ.

— ნაკრები საკმაოდ გადახალისდა. შენ როგორ უყურებ ამ პროცესს?

— დადებითად. სორელის გუნდში კონკურენცია არ იყო და იმის ბრალიცაა გუნდმა მსოფლიოს თასი უსახელოდ რომ დაასრულა. ახლა ერთ პოზიციაზე ორი და სამი თანაბარი ძალის მოთამაშეა და ეს მათ მოდუნების საშუალებას არ მისცემთ. თანაც დროა, ახლები წამოვიდნენ, როდესლაც ხომ უნდა დაიწყოს თაობათა ცვლა?

— ახალ მწვრთნელებზე რას იტყვი?

— ვნახოთ, რამდენად გაამართლებენ. ჩემი აზრით, საქართველოს ნაკრებს ქართველი მწვრთნელები უნდა ჰყავდეს. უცხოელი კი კონსულტანტი უნდა იყოს და მეტი არაფერი.

— გასაგებია, მაგრამ ოთხი მწვრთნელი როგორ შეეწყობა ერთმანეთს?

— ჯერჯერობით ყველაფერი რიგზეა. ვარჯიშებიც ნორმალურად მიმდინარეობს, არა მგონია, მწვრთნელებმა ერთმანეთში საერთო ენა ვერ გამონახონ. ერთადერთი, რაც გვაწუხებს, ეს მაინც ფინანსებს უკავშირდება. ვარჯიშებზე ზოგიერთი მოთამაშე ნახევრად მშიერი მოდის, ზოგს კი გზის ფულიც არ აქვს. რაგბის კავშირმა რაღაც თანხა უნდა გამოყოს და ამ ბიჭებს ეს პრობლემა მოუგვაროს.

— რაგბის კავშირის პრეზიდენტის არჩევნებზე რას იტყვი?

— ეს ჩემი საქმე არ არის. ერთს ვიტყვი, ბიძინა გეგიძის პროგრამა კარგია, მაგრამ მერაბ ანთაძეს უკეთესი ჰქონდა.

— ერთ საიდუმლოს გაგიმხელ —რაგბის მხარდამჭერთა ლიგამ მწვრთნელ-ჟურნალისტები გამოკითხა და წინასწარი შედეგებით, გასული წლის საქართველოს ჩემპიონატის საუკეთესო მორაგბეც გახდები...

— მართლა? ძალიან სასიამოვნოა.

— იმსახურებ ამ აღიარებას?

— რახან მწვრთნელებმა და ჟურნალისტებმა ასე გადაწყვიტეს, ალბათ ვიმსახურებ. ისე, გასული სეზონი ტრავმებით ვითამაშე, მაგრამ თასი და ჩემპიონობა მაინც მოვიპოვეთ.

— და ბოლოს, პორტუგალიამ შარშან ყველა მატჩი მოიგო და ერთა თასის გამარჯვებულიც გახდა. გადახალისებულ საქართველოს ნაკრებს რა შანსი აქვს?

— მე ასე ვიტყვი: პორტუგალიას არანაირი შანსი არა აქვს.

**ოთარ მაღლაკელიძე**

*სამშაბათს „ბასკოში" დებიუტი ჰქონდა გერმანიაში წასასვლელად გამზადებულ ანატოლი ბოისას. „პატარა" ბოისა დიდიდ მოწადინებული არაა, მაგრამ მისი ძმის აგენტს იმდენი უშრომია, რათა „მიტელდოიჩერის" ხელმძღვანელობა ტოლიკას გასინჯვაზე დაეთანხმებინა, რომ წაუსვლელობაც არ იქნება*

# ტოლიკას სიტყვის გატეხვას დროის გატეხვა უჯობს



— რა თქმა უნდა, ბუნდესლიგაში მიჯობს თამაში, მაგრამ თუ „მიტელდოიჩერმა" ძირითად გუნდში არ ამიყვანა, „ბასკოს" დავუბრუნდები.

— „მიტელდოიჩერმა" ახლახან მანუჩარ მარკოიშვილი შეიმატა და, როგორც ჩანს, ძირითადი გუნდიც დაკომპლექტებული ჰყავს, ასეთ ვითარებაში გამართლებულია გერმანიაში წასვლა?

— მენეჯერმა იმდენი იწვალა, რა აღარ გააკეთა, გერმანელები ჩემს გასინჯვაზე რომ დაეთანხმებინა, რომ აუცილებლად უნდა წავიდე. ბოლოს და ბოლოს ზრდილობის ამბავია.

— ვთქვათ, ძირითად გუნდში არ აგიყვანეს, დარჩენა და მომავალი სეზონისთვის მომზადება შემოგთავაზეს, ანაც სხვა გუნდში განათხოვრება დაგიპირეს, რას იზამ?

— უთამაშებლად იქ არ დავრჩები, „ბასკოში" ჩამოვალ და თუ სურვილი ექნებათ, ვეისენფელსელებს მომავალი სეზონიდან შევუერთდები. თუ გუნდში არ ამიყვანეს, მხოლოდ იმ შემთხვევაში დავრჩები თუ ბუნდესლიგის კლუბში გამანათხოვრებენ, რადგან მეორე ბუნდესლიგაში თამაშს „ბასკოში" ყოფნა მიჯობს. მეორე ბუნდესლიგაში ძალიან დაბალი, საქართველოზე უარესი დონეა.

— როდის მიდიხარ?

— გუშინ ვიყავი საელჩოში, მაგრამ ძალიან დიდი რიგი იყო. ვუთხარი, კალათბურთელი ვარ, ყველაფერი წესრიგში მაქვს-მეთქი, მაგრამ მაინც არ შემიშვეს. ხვალ ისევ უნდა მივიდე და ალბათ მოვახერხებ ვიზის აღებას. მომდევნო ორ მატჩს — რუსთავში ჩემს ძველ გუნდთან და თბილისში „მაკაბისთან" აუცილებლად ვითამაშებ.

**ირაკლი პერტაია**

# ევროლიგა

## პირველი ჯგუფური ეტაპი. XII ტური. 4-5 თებერვალი

# კაპიტანის ასეთი ენდა თუ გყავს ვოვა, გამარჯვებაც მოვა



გურამ ცოცხალაშვილის ფოტო

**ევროლიგაში** შემორჩენილი ერთადერთი ჩვენიანის ვლადიმერ ბოისას „ოლიმპია" ამ ტურის წინ ყოფნა-არყოფნის ზღვარზე იყო. A ჯგუფში ბოლო ადგილამდე ჩამოჩებული ლიუბლიანელები იტალიურ „რომას" მასპინძლობდნენ და წაგების შემთხვევაში მომდევნო ჯგუფურ ეტაპზე გასვლის მხოლოდ თეორიულ შანსს ინარჩუნებდნენ, მაგრამ სლოვენიურმა კლუბმა, რომელიც არასდროს ჩარჩენილა პირველ ჯგუფურ ეტაპზე, იოლად იმარჯვა და შესამჩნევად გამოიკეთა მდგომარეობა.

ბარემ შეგახსენებთ, მეორე ეტაპზე 24-დან 16 გუნდი გავა. თითო ჯგუფიდან მოწინავე ხუთეულს შეხვდება საგზური, ხოლო მე-16 იღბლიანად ის გამოცხადდება, ვისაც სამ მეექვსეადგილოსანს შორის უკეთესი ბალანსი ექნება.

დიდი ალიაქოთი შეიმჩნევა A ჯგუფში — აქ ერთბაშად ოთხ გუნდს თანაბარი ქულები შეუგროვებია. ამათგან საგზური ორს ერგება და „ოლიმპიაც" მოდავეთა შორის რჩება.

ლიუბლიანელებმა სოლიდური სხვაობით, მაგრამ არც ისე იოლად იმარჯვეს. მესამე მეოთხედში მათ სერიოზული საფრთხე დაემუქრათ, როცა რომაელები ერთი ბურთის სასროლამდე წამოეწივნენ და ალბათ ჩამოიტოვებდნენ კიდეც, სლოვენთა გამოცდილ კაპიტან ვლადიმერ ბოისას რომ არ ემარჯვა — ვოვამ წუთნახევარში 9 ქულა მიაშველა თავისიანებს.

საზოგადოდ ვოვა არაა ქულების მკეთებელი მანქანა და არც 13 ქულაა უზომოდ ბევრი. სამაგიეროდ ბოისას ქულები მეტად კრიტიკულ მომენტებზე მოდის. ასე იყო ახლაც, „ოლიმპიას" კაპიტანი უცაბედად აფეთქდა. „რომასთან" მატჩის მესამე მეოთხედში იტალიელებმა ერთ ქულამდე შეამცირეს სხვაობა. სწორედ აქ იყოჩაღა ვოვამ, მიყოლებით სამი ორქულიანი ჩააგდო, მერე სამქულიანიც დასჭექა და ლიუბლიანელებს გული საგულეში ჩაუყენა.

პეტარ ნაუმისკის „ულქერმა" კი A ჯგუფს იქით დაიგულა თავი. მაკედონიელის დახმარებით თურქებმა შინ ზაგრების „ციბონა" დაამარცხეს.

საგზური მოიპოვა შარშანდელმა ფინალისტმა მანუჩარ მარკოიშვილის გერმანიაში გამშვებმა ტრევიზოს „ბენეტონმაც". აპენინელები კონკურენტ „ოლიმპიაკოსს" ესტუმრნენ და ყოფილი მათიანის მორის ევანსის ხელით გაიმარჯვეს.

ევანსს შარშან საბერძნეთში უსიამოვნება შეემთხვა „ოლიმპიაკოსის" იმჟამინდელ მწვრთნელ სლობოდან სუბოტიჩთან და თვითნებურად დატოვა გუნდი. როგორც ამ ამბის შემსწრე „ოლიმპიაკოსის" პატარა ქართველმა გიორგი მამაცაშვილმა მაშინ გვითხრა, სუბოტიჩს სულ დედა უგინებია ამერიკელისთვის და ახლა ბენეტონელის მაისურით ათენში მიბრუნებული ევანსი რა ჭკუაზე იქნებოდა?!

მესამე მეოთხედის ბოლოს მას უკვე 25 ქულა ჰქონდა მოქუჩებული, რასაც თამაშის ბოლომდე კიდევ 7 მიამატა და მწარედ იძია შური. მაგრამ, ბოლომდე ალბათ ვერ ჩააქრობდა გულში ბოღმას და სუბოტიჩს ვერ დაუბრმავებდა თვალებს — ბერძნებმა ორიოდ თვეა სლოვენიელი მწვრთნელი დაითხოვეს და მის ნაცვლად ცნობილი დრაგან საკოტა მიიწვიეს.

**ირაკლი პერტაია**

### A ჯგუფი

**აეკ 64:70 ბარსელონა**
აეკ: ჰაცისი (20)
ბარსელონა: ბოდიროგა (22)

**პარტიზანი 75:77 პო ორტეზი**
პარტიზანი: კრსტიჩი (18)
პო ორტეზი: ფორესტი (17)

**ოლიმპია 87:68 რომა**
ოლიმპია: პეტროვი (26), ბოისა (27 წუთი, 13 ქულა, 4 მოხსნა, 1 პასი, 1 ჩაჭრა)
რომა: მაიერსი (17), ალექსანდერი (17)

**ულქერი 76:70 ციბონა**
ულქერი: ნაუმოსკი (25)
ციბონა: ვრანკოვიჩი (18)

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ბარსელონა | 12 | 10 | 2 | +130 | 22 |
| ციბონა | 12 | 7 | 5 | -2 | 19 |
| ულქერი | 12 | 7 | 5 | -18 | 19 |
| პო ორტეზი | 12 | 5 | 7 | +10 | 17 |
| პარტიზანი | 12 | 5 | 7 | 0 | 17 |
| ოლიმპია | 12 | 5 | 7 | -30 | 17 |
| აეკ | 12 | 5 | 7 | -30 | 17 |
| რომა | 12 | 4 | 8 | -60 | 16 |

### B ჯგუფი

**სკიპერი 71:78 ცსკა**
სკიპერი: ვან დენ შპიგელი (15)
ცსკა: თუნქჯანი (16)

**მაკაბი 92:83 ჟალგირისი**
მაკაბი: ბასტონი (23), ვუიჩიჩი (22)
ჟალგირისი: კოტა (20), ბერდი (19), საბონისი (12)

**პანათინაიკოსი 80:76 სიენა**
პანათინაიკოსი: მაკდონალდი (14)
სიენა: გალანდა (15)

**კრკა 78:77 უნიკახა**
კრკა: რიკერტი (22), დუშაკი (20), ჯილბერტი (18)
უნიკახა: კაბეზასი (13)

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ცსკა | 12 | 10 | 2 | +134 | 22 |
| მაკაბი | 12 | 9 | 3 | +87 | 21 |
| სკიპერი | 12 | 7 | 5 | +18 | 19 |
| სიენა | 12 | 6 | 6 | +10 | 18 |
| პანათინაიკოსი | 12 | 6 | 6 | -1 | 18 |
| ჟალგირისი | 12 | 5 | 7 | -4 | 17 |
| უნიკახა | 12 | 3 | 9 | -43 | 15 |
| კრკა | 12 | 2 | 10 | -201 | 14 |

### C ჯგუფი

**ალბა 77:61 ეფესი**
ალბა: ბესტი (17)
ეფესი: გრეინჯერი (20), ლანგდონი (18)

**პამესა 80:64 ვილერბანი**
პამესა: ტომაშევიჩი (14)
ვილერბანი: გულიაში (17)

**შლიონსკი 87:88 ტაუ**
შლიონსკი: გრირი (30), ვოიჩიკი (23)
ტაუ: მასიაუსკასი (17)

**ოლიმპიაკოსი 89:102 ბენეტონი**
ოლიამპიაკოსი: ლიადელისი (19)
ბენეტონი: ევანსი (32), ნიკოლა (24), იდნი (16 ქულა, 14 პასი)

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ეფესი | 12 | 9 | 3 | +65 | 21 |
| პამესა | 12 | 8 | 4 | +60 | 20 |
| ბენეტონი | 12 | 8 | 4 | +89 | 20 |
| ტაუ | 12 | 7 | 5 | +38 | 19 |
| შლიონსკი | 12 | 6 | 6 | -45 | 18 |
| ოლიმპიაკოსი | 12 | 5 | 7 | -21 | 17 |
| ალბა | 12 | 3 | 9 | -68 | 15 |
| ვილერბანი | 12 | 2 | 10 | -118 | 14 |

# მსაჯი დაიწუნეს

## თსუ-ს მაჩალაძე-ბერეკაშვილის დუეტთან საქმის დაჭერა არ სურს



გურამ ცოცხალაშვილის ფოტო

ზაზა მაჩალაძე

**რამდენადაც** გვახსოვს, საქართველოში ასეთი რამ ჯერ არ მომხდარა — კლუბი თხოვნით მიმართავს ფედერაციას, ესა და ეს მსაჯები არაკორექტულად გვექცევიან და ჩვენს მატჩებს აარიდეთო.

კონკრეტულად, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდმა გუშინ კალათბურთის ფედერაციაში ოფიციალური განცხადება შეიტანა, ზაზა მაჩალაძემ და დავით ბერეკაშვილმა რუსთავში თასის გათამაშებაში მიკერძოებულად და ჩვენს საზიანოდ იმსაჯეს და გთხოვთ, ისინი თსუ-ს მატჩებზე აღარ გაამწესოთო.

როგორც გენერალურმა მდივანმა მერაბ რატიშვილმა გვითხრა, ფედერაციის ხელმძღვანელობა ამ საკითხზე იმსჯელებს და თსუ-ს უახლოეს მატჩამდე, 10 თებერვლამდე მიიღებს გადაწყვეტილებას.

თსუ-ს მწვრთნელ გია ჯავახიშვილმა გვითხრა, წერილის შესახებ კი შევიტყვე, მაგრამ მისი შინაარსის თაობაზე უკეთესად კლუბის პრეზიდენტი მიხეილ ახვლედიანი გიპასუხებთო. პრეზიდენტს კი ვერ დავუკავშირდით — პარიზში წასულა.

# ვის შეხვდება მსოფლიო?

**2010 წლამდე** ჯერ ადრეა, მაგრამ ფიბა აქედანვე იჭერს თადარიგს და 6 წლის შემდეგ გასამართი მსოფლიოს ჩემპიონატის მასპინძლის ძიებაშია.

გუშინწინ ჟენევაში ფიბა-ს ასამბლეა გაიმართა, სადაც 2010 წლის მუნდიალის მასპინძლობის მსურველი 7 ქვეყანა-კანდიდატი დასახელდა.

ავსტრალია, იტალია, პუერტო რიკო, რუსეთი, სერბეთი-ჩერნოგორია, საფრანგეთი და თურქეთი — აი, ის ქვეყნები, რომელთაც 2010 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის მასპინძლობის სურვილი გამოთქვეს.

გუშინწინ გამოცხადებული პროცედურის თანახმად, თუ ეს ქვეყნები არ გადაიფიქრებენ, ამა წლის 31 ივლისს კიდევ ერთხელ უნდა დაადასტურონ მუნდიალის მასპინძლობის სურვილი. ამის შემდეგ ფიბა-ს სპეციალური კომისია 2004 წლის სექტემბერ-ოქტომბერში თითოეულ ქვეყანას დაზვერავს, საგანგებოდ შეამოწმებს საკალათბურთო ინფრასტრუქტურასა და სხვა საჭირო პირობებს და საუკეთესოს 2010 წლის მუნდიალის მასპინძლობის უფლებას უბოძებს.

2010 წლის მსოფლიოს ჩემპიონატში სარეკორდოდ ბევრი, 24 გუნდი მიიღებს მონაწილეობას, აქამდე 16 ნაკრები ეცილებოდა ერთმანეთს პლანეტაზე პირველობაში.

მსოფლიოს საკალათბურთო ჩემპიონატი 1950 წლიდან იმართება და ის ყველაზე ბევრჯერ, ხუთჯერ, ყოფილ იუგოსლავიას მოუგია. შემდეგ მოდიან სამ-სამგზის ჩემპიონები ამერიკა და ასევე ყოფილი საკალათბურთო ვეშაპი საბჭოთა კავშირი.

# NBA რეგულარული ჩემპიონატი

5 თებერვალი

**სიეტლი 90:86 სან ანტონიო**
სიეტლი: ლუისი (25), ალენი (22)
სან ანტონიო: დანკანი (23 ქულა, 14 მოხსნა), პარკერი (18)

**ფილადელფია 96:73 ლეიკერსი**
ფილადელფია: აივერსონი (39), რობინსონი (21)
ლეიკერსი: ონილი (17)



# წავიდა და დაიბარა

## ლუისის მემკვიდრეობა: ულუისო რინგი

**ლენოქს ლუისმა** აასრულა: პარასკევ შუადღით ლონდონში პრესკონფერენცია გამართა და დაადასტურა, პროფესიული კრივიდან მივდივარო.

38 წლის ნამდვილმა მსოფლიო ჩემპიონმა უკანასკნელად შარშან ივნისში იკრივა და ვიტალი კლიჩკოც დაამარცხა. თუმცა, ერთადერთ შერჩენილ საბჭოს (ვბკ) ქამარს უკვე დაცვა, ანუ იმავ კლიჩკოსთან რემატჩი ესაჭიროებოდა და ლუისს 1 მარტამდე უნდა ეპასუხა საბჭოსთვის.

ჰოდა, მანაც უპასუხა,

ამით კი ის გამოვიდა, რომ როკი მარჩიანოს, ანუ 1956 წლის შემდეგ ლუისი გამოვიდა პირველი ჩემპიონი, რომელიც ტიტულით გამოეთხოვა კრივს. თუმცა, მარჩიანასგან განსხვავებით, ლუისს 44 ბრძოლაში ორი მარცხი და ერთი ფრე ურევია, როკი კი 49-0-ზე წავიდა.

„ეს განსაკუთრებული დღეა ჩემთვის, — თქვა ლუისმა, — ვაცხადებ, რომ ჩემი ბოლო ბრძოლა 2003 წლის 21 ივნისს შედგა."

ლუისმა ბოლო 26 თვეში მხოლოდ ორჯერ იკრივა: 2002 წლის ივნისში მაიკ ტაისონს მოუგო ნოკაუტით, ერთი წლის თავზე კი ვიტალი კლიჩკოს, ექიმთა გადაწყვეტილებით.

ლუისი 1988 წლის, სეულის ოლიმპიადის ჩემპიონია კანადურ დროშის ქვეშ, თუმც, პროფესიონალად თავისი დაბადების ადგილი ბრიტანეთის დროშის ქვეშ გამოდიოდა. მან სიამაყე და მძიმე წონის ჩემპიონობა დაუბრუნა ბრიტანეთს.

„როცა მოკრივე გავხდი, ვიცოდი, რომ ტიტულისაკენ იოლი გზა არ არსებობს — თქვა მან — მარცხი დასასრულს არ ნიშნავს. ჩემპიონად გახდომა უფრო იოლია, ვიდრე ამის შენარჩუნება, 110 პროცენტი უნდა გაიღო. მე ვამაყობ, რომ ჩემპიონი ვარ. ახლა სხვების დრო დგება. ვთქვათ, კლიჩკოების. კარგი იქნებოდა, აიმ საქმეში გავრეულიყავი. ჩემთვის დიდი პატივია, რომ სხვებისთვის საზომი ვიყავი. მოდი, ახალი ეპოქა დავიწყოთ: ლუისის გარეშე."

ლუისი არცთუ ტყუილად ამაყობს: მას არაფერი დარჩა დასამტკიცებელი. მან ყველას მოუგო: სხვა საკითხია, რომ მისი თანამედროვე მძიმეწონოსნები ვერ იყვნენ ისეთი ძლიერები, როგორც ის. მისი წასვლით მძიმე წონაში უზარმაზარი სიცარიელე რჩება — ღარ არის უმაღლესი ნიშნული და კლასისა და შესაძლებლობების მთავარი შემმოწმებელი.

„თუ მართლა მიდის, სევდიანი ამბავია. ალბათ, ასე უნდა მოქცეულიყო. ის დიდი მებრძოლია", — ასე თქვა მუჰამედ ალიმ და ალბათ მალე დაიწყება ლუისის ადგილის ძებნა კრივის ისტორიაში, რაც ასე ეხერხებათ კრივზე მწერლებს.

**ალბერტ ხაჩატურაშვილი**

# ჰკა მაგას!

## ფალიანი და გოგოლაძე მამისტოლებზე გაიწევენ

**ამაღამ** ატლანტიკ სიტიში პროფესიონალ მოკრივეთა რამდენიმე მნიშვნელოვანი შეხლა გაიმართება. რინგზე ქართველები კობა გოგოლაძე და რამაზ ფალიანიც გავლენ.

დაახლოებით ერთი თვის წინ თავისი მეორე პროფესიული ქამრის მომგებმა გოგოლაძემ ინტერვიუში გვითხრა, რომ იანვრის ბოლოს დაბალ წონაში იმავე ქამრისთვის რამაზიც იბრძოლებდა. შემდეგ ეს შეხვედრა 7 თებერვლისთვის გადაიდო, თუმც ამ დღეს თავადაც რომ ჩხუბობდა, კობამ გუშინღა გვითხრა — „წესით ასე მალე რინგზე არ უნდა გავსულიყავი, მაგრამ ქამრისთვის ბრძოლა 2 რაუნდში მოვიგე, ფაქტობრივად არ დავღლილვარ და გადავწყვიტე 7 თებერვლისთვის სარეიტინგო ბრძოლა მეც დამეგეგმა. თან ერთი თვის წინანდელისგან განსხვავებით ამჯერად აქვე, სულ რაღაც ნახევარი საათის სავალზე, ატლანტიკ სიტიში ვიჩხუბებ. მეტოქედ ლამის მამის ტოლი კაცი, 39 წლის პუერტორიკოელი ხუან პაბლო პერესი მეყოლება. აქამდე ჩატარებული 46 შეხვედრიდან 30 მოუგია და რაც მთავარია, WBC-ის ვერსიით მსოფლიოს ყოფილი ჩემპიონია. რაც შეეხება რამაზს, ზუსტად იმ ქამრისთვის იბრძვის, ახლახან რომ მოვიგე. 33 წლის ლასვეგასელ ჯეიმს ქრეიტონს ხვდება. მის ანგარიშზე 52 ბრძოლიდან 33 მოგებაა. იმედია მესამე ქართულ ქამარს ატლანტიკ სიტიდან წამოვიღებთ. ამაში ყველაზე მეტად ქართული შეძახილები დაგვეხმარება. ჩვენს გამხნევებას სულ მცირე 30 ქართველი აპირებს."

**ოთარ გაღლაძელიძე**



რამაზ ფალიანი ატლანტიკ-სიტიში ამაღამ ქამრისთვის იბრძოლებს



# ვინუსის ჭირი, იაპონელთა დიდი ლხინი

**PAN PACIFIC OPEN**
ტოკიო. ჰარდი
საპრიზო 1,3 მილიონი დოლარი

**მეოთხედფინალი**

**ჩანდა რუბინი (5, აშშ) — ვინუს უილიამსი (1, აშშ) უილიამსს არ უთამაშია; ლინდსი დევენპორტი (2, აშშ) — დანიელა ჰანტუხოვა (8, სლოვაკეთი) 6:2, 6:2; მაგდალენა მალეევა (ბულგარეთი) — აი სუგიამა (4, იაპონია) 6:1, 6:1; ელენა დოკიჩი (7, სერბეთი) — ტატიანა პანოვა (რუსეთი) 6:1, 6:1**

თითქოს ის არ ეყოფოდა, შარშანდელი ივლისიდან მოყოლებული დეკემბრის ჩათვლით ქვედამუცლის დაჭიმულობის გამო კორტსგარე რომ დაჰყო, ვინუს უილიამსს ახლა მორიგი ტრავმა წამოეპარა.

უფროსს შავდას, ვინაც ექვსთვიანი შესვენების შემდეგ თავის მხოლოდ მეორე ტურნირზე გამოდიოდა, გუშინ უკვე ფეხის კუნთი დაეჭიმა. ამის გამო მან თვისტომ ჩანდა რუბინთან სამეოთხედფინალოდ შეხლა ვეღარ შეძლო და ქომაგებს რომ გუნება წაუმურდლა, ტურნირის ორგანიზატორებიც საგონებელში ჩაყარა.

საქმე ის გახლავთ, რომ წინა დღეს ერთ-ერთ ქალმაყურებელს თათარიახნად შეთითხნილი ტრიბუნა ფეხქვეშ ჩაენგრა და ოთხი მეტრიდან ჩავარდნილი უმალ საავადმყოფოში გააქანეს. ამ ამბავმა მატჩებზე დამსწრებთა რაოდენობა გვარიანად შეათხელა და ვინუსის გავარდნის მერე — მისდამი ტოკიოელთა გამორჩეული სიმპატიას თუ გავითვალისწინებთ — მოსეირეთა ლიანგი ალბათ კიდევ უფრო დაიკლებს.

განსხვავებით ტურნირის ორგანიზატორთაგან, ვინუსის გავარდნამ ამოცანა ლინდსი დევენპორტს გაუადვილა, ვინაც იქაურობის შარშანდელი და კიდევ ორგზის ჩემპიონი გახლავთ.

ამ მძლავრად მოგლაჯუნე კალიფორნიელმა გოგომ გუშინ ბოლო დროს ოდნავ ხორცმოკიდებული დანიელა ჰანტუხოვა გამოიჭირა და ისე ბერტყა, როგორც საჭირო იყო. ნახევარფინალში ის ელენა დოკიჩს შეხვდება — მკერდვიაგრა სერბგოგომ გუშინ საუცხოოდ იჩოგნავა და უსახელო რუს ტატიანა პანოვას 44 წუთში გადაურბინა.



NHL რეგულარული ჩემპიონატი

# აი, ჰოკეი!

## დეტროიტი VS კოლორადო: უყურე და არ იდარდო

5 თებერვალი

**კოლორადო 2:3 დეტროიტი**
*2:1 0:1 0:0 0:1*
1:0 სელიანე (2), 2:0 ტანგეი (2), 2:1 უიტნი (7), 2:2 ლანდერო (32), 2:3 ჰალი (61)

ბობოლები, „დეტროიტი" და „კოლორადო" სეზონში პირველად შეხვდნენ ერთმანეთს და ზედ საოლსტარო პაუზის წინა დღეს. ღირდა ლოდინად. ორმა სუპერკლუბმა მართლაც რომ სუპერჰოკეი აჩვენა და მაყურებელს ნამდვილი შოუ შესთავაზა. წინა წლებში მათ ჭიდილს ბევრი გაწევ-გამოწევაც ახლდა, ამჯერად კი ჭეშმარიტი ჰოკეი ითამაშეს. თავბრუდამხვევმა შეტევებმა და მეკარეთა ბრწყინვალე თამაშმა თავიდანვე დაიპყრო მაყურებელი და ბოლო წამამდე დაძაბული დატოვა.

თავიდან მასპინძლებმა იძალეს. რამდენიმე წამში ჯერ ტეემუ სელიანემ, შემდეგ კი ალექს ტანგეიმ დაამწუხრეს დეტროიტელები, თუმც ისინი არ დაბნეულან, არც გეგმისთვის გადაუხვევიათ და მე-7 წუთზე პაველ დაციუკის ბრწყინვალე პასით რეი უიტნიმ გაქვითა ერთი შაიბა, ხოლო მეორე პერიოდში მეტიუ დანდენომ კონტრშეტევაში გაათანაბრა. ძირითადი დროის დამთავრებამდე კვლავ უამრავი მომენტი შეიქმნა, მაგრამ მატჩის ბედი მაინც ოვერტაიმში გადაწყდა. „კოლორადომ" თვითონ გამოუტანა თავს განაჩენი. ზედიზედ ორი უხეშობის შემდეგ ოვერტაიმი ორკაციან უმცირესობაში დაიწყეს და პირველივე წუთში ბრეტ ჰალმა საჭირმო დარტყმით წერტილი დასვა.

ეს „ოქროს ბრეტის" მე-20 შაიბა გახლდათ სეზონში. თანაც უკვე ზედიზედ მეჩვიდმეტედ მიაღწია ამ ზღვარს. გუნდები ჩემპიონატის ბოლომდე კიდევ სამჯერ შეიბმებიან და ეგებ პლეი ოფშიც დაეჯახონ ერთმანეთს.

**ნეშვილი 2:5 ტამპა**
*0:1 2:3 0:1*
0:1 რიჩარდსი (14), 0:2 ბოილი (24), 0:3 კუბინა (26), 1:3 არხიპოვი (33), 2:3 არხიპოვი (36), 2:4 კლაიმენი (40), 2:5 ტეილორი (58)

**ოტავა 4:5 ტორონტო**
*3:0 1:3 0:1 0:1*
1:0 ალფრედსონი (1), 2:0 ჰავლატი (10), 3:0 პოტიე (13), 4:0 ლანგფელდი (24), 4:1 ტაკერი (30), 4:2 რენბერგი (36), 4:3 სტეიჯერი (38), 4:4 სუნდინი (55), 4:5 ნოლანი (65)

**ნიუ ჯერსი 0:4 ვანკუვერი**
*0:1 0:2 0:1*
0:1 ჰ. სედინი (2), 0:2 დ. სედინი (24), 0:3 მორისონი (34), 0:4 ლინდენი (52)

**ბუფალო 2:6 ბოსტონი**
*1:1 0:3 1:2*
1:0 დელმორი (11), 1:1 კნუბლი (14), 1:2 ტორნტონი (22), 1:3 აქსელსონი (29), 1:4 ლაპოინტი (40), 1:5 მიუნეი (47), 2:5 დრური (56), 2:6 ბოინტონი (59)

**ატლანტა 1:5 ფილადელფია**
*1:0 0:4 0:1*
1:0 ობენი (20), 1:1 განიე (26), 1:2 რეკი (33), 1:3 კაპანენი (34), 1:4 ამონტე (40), 1:5 ლეკლერი (60)

**მონრეალი 2:1 აილენდერსი**
*1:1 0:0 1:0*
1:0 რიბეირო (8), 1:1 პაპინო (17), 2:1 რაიდერი (49)

**კალგარის 1:2 სენტ ლუისი**
*0:0 1:1 0:1*
0:1 ტკაჩუკი (29), 1:1 მაკამონდი (35), 1:2 მელანბი (56)

**სან ხოსე 5:0 ფინიქსი**
*2:0 2:0 1:0*
1:0 მაკოლი (8), 2:0 ჰენენი (14), 3:0 კოროლიუკი (29), 4:0 შტურმი (33), 5:0 მარლო (42)

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ფიფა 100 - სახეები

4 მარტს, ლონდონში დიდი საფეხბურთო ღონისძიება, „ფიფა 100" გაიმართება. ღონისძიების ღერძი იქნება ფოტოგამოფენა, რომელიც მსოფლიოს 100 ცოცხალი ფეხბურთელის ცხოვრებას პორტრეტებით აღწერს. ამ ასი ფეხბურთელის ამორჩევა ფიფამ თავის დროზე პელეს მიანდო, ხოლო ამ ფეხბურთელთა ფოტოპორტრეტების შექმნა კი 12 უგანთქმულეს ფოტოხელოვანს. ზოგიერთი ფოტო უკვე გავრცელდა: ნორბერტ შერნერს კარლ ჰაინც რუმენიგე გადაუღია, პატრიკ ლიხტფელდს — რობერტო ბაჯო, მარკ კუინს ტიერ ანრი.





REUTERS ლონდონიდან



REUTERS ლონდონიდან

# ჰარლემში

*ნიუ იორკში, ზანგთა უბან ჰარლემში გამოჩნდნენ დიადი მუჰამედ ალი და მისი მოკრივე ქალიშვილი ლეილა. აქ გამოუფენიათ „ადიდასის" ახალი სარეკლამო დაფა, რომელზეც მამა-შვილია აღბეჭდილი, წარწერა კი გამცნობს, რომ „შეუძლებელი არაფერია".*



REUTERS ნიუ იორკიდან



REUTERS ბუდაპეშტიდან

# სამიზნე წყვილები

*ბუდაპეშტში ევროპის ჩემპიონატი მიმდინარეობს. ფიგურული სრიალის ოსტატები მოხდენილი ფოტოთა ყველაზე ხშირი გმირები არიან და ახლაც ასეა. უნგრელ ატილა ელეკს ხელისგულზე ჰყავს თანამეწყვილე ნორა ჰოფმანი. ბრინჯაოსმედალოსანი პოლონელები დოროტა ზაგორსკა და მარიუშ სიუდეკი კი ძნელად, მაგრამ მაინც კოხტად ასრულებენ უბირთათვის პიკანტურ ილეთებს.*



REUTERS ბუდაპეშტიდან


სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიქრიაული
რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით ერაძე, დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ელენე გელუტაშვილი, რუსუდან დარსაველიძე, სვეტა დევაძე, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, დავით კვაჭანტირაძე, თენგიზ ფოფხაძე, ზურაბ წერეთელი, მირიან ხანიშვილი



რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge